ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარად ერთ-ერთი ყველაზე გამცდენი დეპუტატი დაასახელა




გვ.2



ორშაბათი, 8 აგვისტო, 2016 №186 (7112) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ მაჭავარიანი: „ქართულ ოცნებაში“ ნახევარზე მეტი ნაციონალია“





გვ.3

„რაღა ახლა დაინახა ხიდაშელმა ხელისუფლების შეცდომები“

## სად იმალება ბიძინა ივანიშვილი

გვ.2





მურმან დუმბაძე: „არჩევნების დღეს „კარუსელებსა“ და დარბევებს ელოდეთ“



## ვახტანგ ძაბირაძე: „პაპუაშვილი ვალდებულია თქვას, რომელ მოსამართლეზე იყო ზეწოლა“

გვ.5

დემოკრატიისკენ ნაბიჯი გადავდგით. ხელისუფლებამ აღიარა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ორგანო, არსებობს

## „ნაციონალებს ხალხი ცოცხებით გარეკავს“



ზვიად ჩიტიშვილი: „სააკაშვილისა და გიულენის მუქარის არავის ეშინია“

გვ.4

## აფხაზეთის ახალი პრემიერი მთავრობის ახალ შემადგენლობას წარადგენს



გვ.6

ISSN 1987-9385

გვ.5




## საკონსტიტუციო სასამართლოთი პოლიტიკურად ვაჭრობენ

# სად იმალება ბიძინა ივანიშვილი

შორენა მარსაგიშვილი



## მურმან დუმბაძე: „არჩევნების დღეს „კარუსელებსა“ და დარბევებს ელოდეთ“



არის თუ არა აჭარაში პრორუსული განწყობა, რატომ არ ჩნდება საჯაროდ ივანიშვილი, რისთვის ემზადება „ქართული ოცნება“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

***– 6 აგვისტოს ბეშუმში ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვარშალომიძე შეეცადა, პრემიერის სიტყვით გამოსვლა ჩაეშალა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ რეგიონში ნაციონალები გაძლიერდნენ?***

– ეს ქმედება ნაციონალების გაძლიერებაზე არ მეტყველებს. ის, რაც ბეშუმში მოხდა, იყო პროვოკაცია, რომელსაც თავის დროზე „ქართულმა ოცნებამაც“ მიმართა. პრემიერმა გაიხსენა, რომ 4 წლის წინ ბეშუმში „ოცნების“ წარმომადგენლები დაარბია ყოფილმა ხელისუფლებამ. ეს ასე იყო, მაგრამ იმ დარბევისას კვირიკაშვილი ჩვენ გვერდით არ ყოფილა. ხალხი ბეშუმში მე ჩავიყვანე და ის პროვოკაციაც ჩემ მიერ იყო მოფიქრებული.

ნაციონალებმა გაგვაფრთხილეს, რომ მიკროფონებთან არ მიგვიშვებდნენ. ჩვენ მაინც ვცადეთ სცენასთან მისვლა, რა დროსაც მოხდა დარბევა. 4 წლის შემდეგ მოხდა პირიქით – ნაციონალურმა მოძრაობამ მოუწყო ბეშუმში ხელისუფლებას პროვოკაცია. „ქართულმა ოცნებამ“ აჭარის ყველა რაიონიდან წაიყვანა იქ საჯარო მოხელეები. ისინი სუსთან და პოლიციასთან ერთად სცენასთან იყვნენ გამაგრებულები, რათა რომელიმე ოპოზიციონერი სცენის სიახლოვეს არ მისულიყო. ვარშალომიძის მცდელობაც ამაო აღმოჩნდა.

მართალია, ხელისუფლებას ოპოზიცია ახლა არ დაურბევია, მაგრამ პირადად მე „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. ბეშუმში მომხდარი უკვე მეორე ფაქტია, რომელიც ამას ადასტურებს.

***– პირველი ფაქტი რომელი იყო?***

– კორცხელის ინციდენტი. „ქართული ოცნება“ ნაციონალებთან სიახლოვეს კიდევ დაამტკიცებს. ამაში ყველაზე უკეთ არჩევნების დღეს დავრწმუნდებით.

***– არჩევნების დღეს რას ელოდებით?***

– უშიშროების აქტიურობას, კარუსელებს, დარბევებს, ყუთების გატაცებას. ახალი არაფერი იქნება, სამაგიეროდ, ყველაფერი გამეორდება, რაც აქამდე მომხდარა. ჩემი „ქართული ოცნებიდან“ წამოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ხელისუფლება ნაციონალებს ემსგავსებოდა.

***– ლევან ვარშალომიძის დაბრუნების შემდეგ აჭარის რეგიონში პოლიტიკური პროცესები აშკარად გამოცოცხლდა. ეს მისი და მისი პარტიის დამსახურებაა თუ მოახლოებული არჩევნების?***

– პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურება მაშინ ნახეთ, ჩვენ რომ ჩავერთვებით პროცესებში. ის, რაც დღეს ხდება, მოახლოებულ არჩევნებთან არის კავშირში. „ქართული ოცნება“ ასეთი უსუსური რომ არ ყოფილიყო, ლევან ვარშალომიძე და მისი პარტია საერთოდ არ გამოჩნდებოდნენ. პირადად მე ამ პიროვნებაზე საერთოდ არ ვფიქრობ. დამარცხებულ პარტიებთან და ადამიანებთან ბრძოლა ჩემი სტილი არ არის.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ხელისუფლებაშია „ქართული ოცნება“, რომელიც დღევანდელ მოთხოვნებს ვერ პასუხობს და ამიტომაც მას მივიჩნევთ მთავარ ოპონენტად და მისი დამარცხებაა მთავარი მიზანი.

***– თქვენი პარტია ჯერ რეგისტრირებულიც კი არ არის და რანაირად შეძლებთ მათ დამარცხებას?***

– იმედია, მალე მოხდება ჩვენი პარტიის რეგისტრაციაში გატარება. „ოცნების“ წარდგენილი კანდიდატებით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან უჭირთ და არც მათი დამარცხება იქნება რთული. „ოცნებას“ განსაკუთრებით აჭარაში აქვს ცუდად საქმე. ამიტომაც არის, რომ მაჟორიტარების წარდგენას არ ჩქარობენ.

***– აჭარაში ბოლო დროს რამდენიმე აქცია გაიმართა. ერთ-ერთმა პარტიამ რეგიონში წითელი არმიის შეყვანაც კი მოითხოვა, რათა თურქეთიზაციის პროცესი შეჩერდეს. მოსახლეობა ამაზე რას ფიქრობს?***

– ამას არასერიოზულად აღიქვამენ. მათ აქტიურობას მეც არასერიოზულად ვუყურებ. როგორ შეიძლება, 21-ე საუკუნის საქართველოში წითელი არმიის შეყვანა მოითხოვო. ამ პოლიტიკას პერსპექტივა არა აქვს. არჩევნებზე პრორუსულ ძალებს არანაირი შანსი არა აქვთ, მედასავლეთე ძალები აიღებენ უმრავლესობას. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

მართალია, წითელი არმიის მიმართ სიმპათიით განწყობილი ძალების აქტიურობა არ მომწონს, მაგრამ მათთან ძალისმიერი გზით დაპირისპირებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოვეგოთ მათ პროვოკაციას. მათთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება კონკურენციაა. კონკურენციას ისინი ვერ გაუძლებენ და პოლიტიკური ველიდან განიდევნებიან. მინდა, ყველამ შეიგნოს, რომ წარსულის ნოსტალგია მომავლის პერსპექტივა ვერასდროს იქნება.

***– „ქართულმა ოცნებამ“ თითქმის ყველა რეგიონში წარადგინა მაჟორიტარები. ივანიშვილი არსად გამოჩენილა, არადა, ამბობდა, ძალიან აქტიური ვიქნებიო. თქვენ მის პასიურობას რით ხსნით?***

– დღეს „ქართულ ოცნებას“ სიახლის არანაირი რესურსი არ გააჩნია. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ივანიშვილის პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი.

თავიდან თითქოს მოძებნეს სიახლე და საგურამოში ახალი სახეები წარმოადგინეს. ვილაცამ იფიქრა, რომ ახალი სისხლის გადასხმის პროცესი გაგრძელდებოდა. ამის სურვილი თავადაც ჰქონდათ, მაგრამ მაჟორიტარებად ისეთი ხალხი წარადგინეს, ყველა დარწმუნდა, რომ მმართველ პარტიაში სრული ქაოსი და კატასტროფაა.

ამ ფონზე „ქართული ოცნების“ ბევრი წარმომადგენელი საარჩევნო სიის მიღმა დარჩება. ისინი სერიოზულ ინფორმაციებს ფლობენ და მალე ძალიან მწვავე განცხადებებს გააკეთებენ. ეს კარგად იცის ივანიშვილმა და ამიტომ არის პროცესებიდან შორს. მას არ სურს, ყოფილი თანაგუნდელების რისხვაც დაატყდეს თავს.

***– გინდათ თქვათ, რომ ივანიშვილი დაიმალა?***

– ფაქტობრივად, დაიმალა. მას გამოსაჩენი პირიც არ ჰქონდა. მაჟორიტარების წარდგენაზე რომ მისულიყო, რას იტყოდა, პეესპეს დირექტორი და ნაციონალების დამფინანსებელი ჩვენი გუნდის წევრიაო? ან გოდერძი ბუკიას პერსონით უნდა ეტრაბახა? ეს ადამიანი ყველა ხელისუფლების მაჟორიტარი იყო და ყველა ხელისუფლებას მილიონებს ურიცხავდა. აქედან გამომდინარე, არ მიკვირს ივანიშვილის პასიურობა.

# „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარად ერთ-ერთი ყველაზე გამცდენი დეპუტატი დაასახელა

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 7 აგვისტოს, პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის მაჟორიტარების კანდიდატები წარადგინა.**

ისევე, როგორც სხვა რეგიონებში, ნაციონალურ კადრებს აქაც ვერ ასცდნენ. კანდიდატებს, ეტყობა, თვითმმართველობებშიც ეძებდნენ.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ახალციხესა და ადიგენში იქნება გიორგი კოპაძე. კოპაძეს ამ ეტაპზე ახალციხის მერის პოსტი უკავია.

ახალქალაქსა და ნინოწმინდაში „ქართული ოცნების“ სახელით მაჟორიტარობისთვის გამოცდილი დეპუტატი ენზელ მკოიანი იბრძოლებს.

ეს უკანასკნელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში პირველად 1999 წელს მოხვდა. იქიდან მოყოლებული, ის უცვლელი დეპუტატია.

2012 წელს საკანონმდებლო ორგანოში ის ნაციონალი დეპუტატის რანგში შევიდა. მერე, კოლეგების ნაწილის მსგავსად, მანაც ოცნება დაიწყო.

მკოიანი დიდი აქტიურობითა და სკანდალებით არ გამოირჩევა. ამის მიუხედავად, ის რჩეული დეპუტატების სიაში მოხვდა.

ცოტა ხნის წინ პარლამენტის სპიკერმა ყველაზე გამცდენი დეპუტატების ათეული დაასახელა. სწორედ ამ ათეულში შედის მკოიანი.

მკოიანის გარდა, ამ ათეულში მოხვდა „ოცნების“ კიდევ ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი გოდერძი ბუკია.

ბორჯომსა და ასპინძაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ბორჯომის მოქმედი მაჟორიტარი გედევან ფოფხაძე იქნება.

– ბორჯომსა და ასპინძაში ჩვენ ვასახელებთ ყველასთვის კარგად ნაცნობ გედევან ფოფხაძეს. ის გახლავთ პარლამენტის წევრი. გედი უწესიერესი კაცია, აქვს საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის დიდი გამოცდილება, პასუხისმგებლობის გრძნობა, არის პრინციპული და ობიექტური, რაც ძალიან საჭიროა პარლამენტარისთვის. გედის გამოცდილება და პროფესიონალიზმი ნამდვილად იძლევა იმის გარანტიას, რომ თქვენ საიმედო წარმომადგენელი გეყოლებათ პარლამენტში, – განაცხადა პრემიერმა ფოფხაძის მაჟორიტარად წარდგენისას.

მკოიანისგან განსხვავებით, ფოფხაძე აქტიური დეპუტატების სიაშია. ის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა.

ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, მას ამის უფლება არა აქვს, რადგანაც 2003 წელს, როცა ბორჯომის გამგებლის პოსტი ეკავა, ოპოზიციის მიტინგებს არბევდა.

◆ ◆ ◆

ცნობისთვის, „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატები უკვე წარადგინა იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და კახეთში.

# „ქართული სახელმწიფო საარჩევნო ყუთებთან ეტყვის „არას“ ოკუპაციას“




– ქართული სახელმწიფო საარჩევნო ყუთებთან ეტყვის „არას“ ოკუპაციას, რუსულ პროპაგანდას, აქა-იქ გამოჩენილ საბჭოთა ნოსტალგიას, რუსულ ტანკებსა და 37-მანეთიან ბილეთს მოსკოვში. 2008 წლის 8 აგვისტოს გამოძახილი უნდა იყოს 2016 წლის 8 ოქტომბერი, – წერს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი სოციალურ ქსელ ფეისბუქში.

თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ აგვისტოს ომის წლისთავზე, 8 წლის შემდეგ, ეთნიკური წმენდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი მრავლობითი დანაშაულისთვის კვლავაც არავინ დასჯილა.

– ერთად, ერთ მუშტად, ერთიან ორგანიზმად ქცეული ქართული სახელმწიფო, რომელიც სწორედ საარჩევნო ყუთებთან ეტყვის „არას“ ოკუპაციას, რუსულ პროპაგანდას, აქა-იქ გამოჩენილ საბჭოთა ნოსტალგიას, რუსულ ტანკებსა და 37- მანეთიან ბილეთს მოსკოვში.

აგვისტოს ომის წლისთავზე, 8 წლის შემდეგ, ეთნიკური წმენდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი მრავლობითი დანაშაულისთვის კვლავაც არავინ დასჯილა.

ჩემთვის, როგორც დედისთვის, ვისთვისაც მშვიდობა ერთადერთი გარანტია მისი და სხვისი შვილების უსაფრთხო და ბედნიერი მომავლის უზრუნველსაყოფად; სამოქალაქო აქტივისთვის, ვინც ჯერ კიდევ 2009 წელს თავიდან ბოლომდე, ეთნოწმენდიდან მკვლელობამდე, ყოველი სახლის გადაწვიდან მოსახლეობის მასობრივ დევნამდე, შევისწავლე აგვისტოს ომი; საქართველოს მოქალაქისთვის, ვისაც არავითარი ორჭოფული აზრები არ აქვს, ამ ომში ჯალათის და მსხვერპლის იდენტიფიცირებისთვის; პოლიტიკოსისთვის, ვინც მთელი მისი კარიერის მანძილზე თავდაუზოგავად შრომობს საქართველოს ნატოში, შესაბამისად უსაფრთხოების ერთადერთ ხელშესახებ, ძლიერ ალიანსში წევრობისთვის; ყოფილი თავდაცვის მინისტრისთვის, ვისი მთავარი მისიაც სწორედ მშვიდობისთვის ბრძოლა, მშვიდობის უზრუნველყოფა და ძლიერი, პროფესიული, უნარიანი შეიარაღებული ძალებია, ქვეყნის დეოკუპაცია და 2008 წელს, საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის გამო პასუხისმგებელ პირთა დასჯა, კვლავაც მთავარ ამოცანად რჩება.

2009 წელს დავწერე: „საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე ტერიტორიით და მცირე მოსახლეობით, შიდა ქართლი კი დედამიწის კიდევ უფრო პატარა წერტილი. თუკი ტრაგედია და დანაშაულის სიმძიმე მსხვერპლის რაოდენობით იზომება, ჩვენი ტრაგედიის მასშტაბი, რაოდენ სასტიკიც უნდა ყოფილიყო, ვერ გაუტოლდება გენოციდს რუანდაში, ეთნიკურ წმენდას ყოფილ იუგოსლავიაში, დარფურისა და კამბოჯის ტრაგედიებს. მაგრამ ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირით შეუძლებელი და უსამართლოა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ლეგიტიმაცია.

თუ დანაშაული ჩადენილია, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, დანაშაულის ხასიათის და არა მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით. საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიული დაცვის მექანიზმები თანაბრად უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ რა სიდიდის ან გავლენისაა სახელმწიფო, ან რამდენი დღე გრძელდებოდა ომი.

მსოფლიო წესრიგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ორმაგი სტანდარტით მოქმედება კაცობრიობას საბოლოოდ გაცილებით მძიმე შედეგებამდე მიიყვანს, ვიდრე ათიათასობით უფლებააყრილი ქართველი დევნილისათვის საკუთარი სიმართლის დამტკიცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევაა“.

სამწუხაროდ, მას შემდეგ უკრაინა მოხდა და პასუხი დღემდე გაცემული არ არის.

ჩემთვის 2008 წლის ომს ყველაზე უკეთესად ამ ორი ადამიანის თვალები, ფოტოზე აღბეჭდილი ემოცია და ტრაგიზმი გადმოსცემს. სწორედ ამ ფოტოთი ვეხმიანები ომის წლისთავს, – წერს ხიდაშელი.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ მაჭავარიანი: „ქართულ ოცნებაში“ ნახევარზე მეტი ნაციონალია“

## „რაღა ახლა დაინახა ხიდაშელმა ხელისუფლების შეცდომები“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაუპირისპირდა თინა ხიდაშელი ლევან იზორიას, რატომ წარადგინა მაჟორიტარებად „ოცნებამ“ ყოფილი ნაციონალები, რას ნანობს ყოფილი ხელისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.



**მიხეილ მაჭავარიანი:**

– ძალიან თვალშისაცემი და საინტერესო ამბავია თინა ხიდაშელისა და ლევან იზორიას დაპირისპირება. ხიდაშელმა იზორიას ძველი ცოდვები გაუხსენა, საქვეყნოდ მოყვა, როგორ ატრიალებდა თავდაცვის მინისტრის ნათესავი დანას „ოცნების“ ოფისში. არადა, როცა ხიდაშელი ხელისუფლებაში იყო, ამაზე საჯაროდ არასდროს უსაუბრია. ახლა, როცა ხელისუფლებიდან წამოვიდა, უცბად ყველაფერი დაინახა.

***– თქვენი აზრით, როცა რესპუბლიკელები კოალიციაში იყვნენ, მაშინ რატომ ვერ ამჩნევდა ამ რაღაცებს? თანაც ხიდაშელი სხვებთან შედარებით მაინც უფრო ღიად საუბრობდა ხელისუფლებაში არსებულ პრობლემებსა და გადაცდომებზე.***

– აღმოჩნდა, რომ ყველაფერზე არ საუბრობდა. მაშინ, ეტყობა, ამის პოლიტიკური ნება არ არსებობდა. ახლა აღარ არიან ხელისუფლებაში და ყველაფერზე ლაპარაკობენ. მათ გულწრფელობაში მე ეჭვი მეპარება.

***– რატომ გეპარებათ ეჭვი?***

– იმიტომ, რომ ისინი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ არასდროს წასულან. მათ შორის, არც ბოლო პერიოდში, როცა კოალიციიდან მათი წამოსვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო.

მოგეხსენებათ, ჩვენ ვართ ოპოზიციაში და ჩვენი ძალებით ვერცერთ საკითხს ვერ გავიტანდით. რესპუბლიკელებს არასდროს დაუჭერიათ ჩვენთვის მხარი, არც მაშინ, როცა საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს ვითხოვდით და არც მაშინ, როცა საყდრისსა და ბარბარე რაფალიანცის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი დავაყენეთ.

ერთმა ბრძენმა კაცმა თქვა ძალიან ადრე – ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო. რესპუბლიკელებმაც მხოლოდ მაშინ დაინახეს გზა, როცა მათი ურემი გადაბრუნდა.

***– ურმის გადაბრუნების ფარგლებში გამოიწვია დავით უსუფაშვილმა პრემიერი დებატებში. აქამდე ისინი ერთმანეთის კონსტრუქციულობით იყვნენ გაოცებულნი, ახლა კი დებატების სურვილი გაჩნდა. თქვენი აზრით, ეს ნორმალური პროცესია?***

– მე თუ მკითხავთ, ეს ძალიან ნორმალური და ცივილიზებული ამბავია. ნეტა ასე ცივილიზებულად იყოს ქვეყანაში ყველაფერი. პოლიტიკური ოპონენტები არიან და ოპონირებისთვის ტელედებატები საუკეთესო ადგილია.

***– რამდენიმე რეგიონში „ქართულმა ოცნებამ“ უკვე წარადგინა მაჟორიტარები. მათი ნაწილი ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ნაციონალურ მოძრაობაში იყო. არადა, საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ კახა კალაძემ განაცხადა, არცერთი ყოფილი ნაციონალი ჩვენ გვერდით არ იქნებაო.***

– „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი მაჟორიტარებიდან გაცილებით მეტი იყო ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. მოქმედი მაჟორიტარები ცნობადი სახეები არიან და მათ შესახებ იმიტომაც იცის ხალხმა ყველაფერი. არაცნობადებიდანაც ბევრი იყო ჩვენთან. მაგალითად, გორში წარდგენილი კანდიდატი მაკრახიძე.

როგორც ჩანს, „ოცნებამ“ ისეთ ხალხზე გააკეთა აქცენტი, რომლებიც ამ არჩევნებისთვის დახარჯავენ ფულს. სწორედ ამიტომ აპირებენ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მაჟორიტარად გოჩა ენუქიძის დასახელებას. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ის ნაციონალურ მოძრაობაში 2008 წელს შემოვიდა. მაშინ საკმაოდ ცუდ დღეში ვიყავით და იმ პერიოდში გადაწყვიტა ჩვენთან ყოფნა.

აქტიური ნაციონალი იყო სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი შიოლაშვილი. ის 2012 წელს ჩვენი საარჩევნო შტაბის ძალიან აქტიური წევრი იყო.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ოცნებას“ პარლამენტში საქმის გამკეთებელი ხალხი სულაც არ სჭირდება. მათი მთავარი მიზანია, ახალ პარლამენტში უმრავლესობით მოვიდნენ. მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას იყენებენ. იმისიც კი არ რცხვენიათ, რომ მაჟორიტარად შევარდნაძის დროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კანდიდატურა დააყენეს.

***– ნარჩემაშვილზე განსაკუთრებულ ყურადღებას რატომ ამახვილებთ, იმიტომ ხომ არა, რომ თავის დროზე გიჩივლათ?***

– ამის გამო არა. ჩვენ შორის დაპირისპირება მართლაც იყო. როცა მე საგადასახადოშემოსავლების მინისტრი ვიყავი, მაშინ ნარჩემაშვილი საბაჟოს უფროსი იყო. ჩვენ შორის უთანხმოება მოხდა და ის საბაჟოდან წამოვიდა. ამის შემდეგ ის კახა თარგამაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში წაიყვანა და მოადგილედაც დანიშნა. მერე მინისტრი გახდა.

ასეთი ხალხის წარმოდგენით „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს უგზავნის შემდეგ მესიჯს – ვბრუნდებით იქ, სადაც 2003 წლამდე ვიყავით.

„ქართულ ოცნებას“ ისეთი ხალხი ჰყავს წარმოდგენილი, რომ ეს არჩევნები მართლაც წყალგამყოფი იქნება. დარწმუნებული ვარ, ხალხი წარსულში დაბრუნებას აღარ მოინდომებს.

***– თქვენი ყოფილი წევრები რომ „ოცნებაში“ გადავიდნენ, ამის გამო მათთვის პრეტენზია არ წაგიყენებიათ?***

– რა უნდა ვუთხრათ? ერთადერთი, რაც შეიძლება გავაკეთოთ ისაა, რომ საკუთარ თავს წავუყენოთ პრეტენზიები. ეს მაჟორიტარები ჩვენთან მოსვლამდე სხვა პარტიაში იყვნენ და უნდა გვცოდნოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩვენგანაც წავიდოდნენ.

ჩვენი ბრალი ის იყო, რომ 2008 წლის არჩევნების შემდეგ საერთოდ არ გავაუქმეთ მაჟორიტარული სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დროს ეს სისტემა უფრო სწორი იყო.

***– მაგ სისტემის სისწორე რაში გამოიხატებოდა?***

– მაშინ ყველა მუნიციპალიტეტს თავისი მაჟორიტარი ჰყავდა. ამის მიუხედავად, მაინც არასწორი იყო, რომ ამ სისტემის შენარჩუნებაზე ვფიქრობდით. ეს სისტემა ჩვენ არ მოგვიგონია, გამსახურდიას ხელისუფლებიდან მოდის და ჩვენ, ასე ვთქვათ, შთამომავლობით გვერგო.

მინდა, იცოდეს ყველამ, რომ მაჟორიტარი არ არის ამომრჩევლის პრობლემის მომგვარებელი. ის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყოველთვის ხელისუფლებას აკისრებს. ეს ხალხი ფულს მხოლოდ იმაში ხარჯავს, რომ პარლამენტში მოხვდნენ და იქ თავიანთ ბიზნესს მიხედონ. მათ ხალხის პრობლემები საერთოდ არ აინტერესებთ.

***– ზემოთ მაჟორიტარებად ძველი კადრების წარდგენა ახსენეთ. ამ დღეებში მთაწმინდაზე ნაციონალურმა მოძრაობამ ნიკა რურუას კანდიდატურა წარადგინა, რომლის წარსულთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი კითხვაა.***

– მიმაჩნია, რომ ნიკა რურუას კანდიდატურის წარდგენა სწორი გადაწყვეტილება იყო. ის ნაციონალურ მოძრაობაში ვარდების რევოლუციის შემდეგ არ მოსულა. მინდა გაგახსენოთ, რომ რურუა 2003 წლის არჩევნებზე ჩვენ გვერდით იდგა.

***– მაგ პერიოდში რურუას ძმა, გიორგი, აღორძინების სიით შევიდა პარლამენტში, ხოლო მამამისი შევარდნაძის ბლოკს უჭერდა მხარს.***

– მერე რა მოხდა, რომ იმათ უჭერდნენ მხარს. გიორგის ბავშვობიდან ვიცნობ და ამის გამო მასთან არანაირი პრეტენზია არა მაქვს. „ქართულმა ოცნებამ“ დაამკვიდრა ასეთი წესი, რომ თუ ვინმე ოპოზიციაშია, არ უნდა დაელაპარაკო. ისე შორს წავიდნენ, რომ დეპუტატებიც კი დაახარისხეს. ან მაგათ მანქანებს შეხედეთ.

***– მაგათ მანქანებს რაღა სჭირს?***

– ჩვენ მანქანის მინების დაბურვა ავკრძალეთ. ამათ ეს წესი დააბრუნეს. ყველა მათგანის მანქანა დაბურულია, ციმციმები აქვთ ჩართული და ასე დადიან, დაშლიგინებენ.

ისევ ნიკა რურუას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ის იმ 9 წლის განმავლობაში სულ ჩვენთან იყო. 2008 წელს კულტურის მინისტრად დაინიშნა. ამ სფეროში ბევრ ხალხს ვიცნობ და ყველა აღიარებს, რომ ნიკა ერთ-ერთი საუკეთესო კულტურის მინისტრი იყო. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მისი დაკარგვა არ შეიძლებოდა. ახლა ის მაჟორიტარობის კანდიდატია.



***– სულ ჩვენ გვერდით იდგაო, ამბობთ და 2012 წელს ხომ წავიდა თქვენგან?***

– მაშინ მან დააფუძნა „ივერია“. ის თავის მეგობრებთან ერთად ყოველთვის ჩვენი თანამოაზრე იყო. ახლა ისევ გამოთქვა ჩვენთან ყოფნის სურვილი.

***– მის სურვილს ყველა დადებითად შეხვდა პარტიაში?***

– არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ამ საკითხზე საუბარი იყო. მთაწმინდის ოლქში 2 კანდიდატურა განიხილებოდა. პარტიამ არჩევანი ნიკას სასარგებლოდ გააკეთა. მიმაჩნია, რომ ის კარგი მაჟორიტარი იქნება.

***– ზემოთ თქვენ არ ამბობდით, მაჟორიტარები არაფრის გამკეთებლები არ არიანო.***

– ვამბობდი და არ მინდა, ჩემს თავს შევეწინააღმდეგო. რადგან ეს სისტემა დატოვეს და ფეხბურთს ჰოკეის წესებით გვეთამაშებიან, მაშინ ვეცდებით, საუკეთესო ფალავნები გამოვიყვანოთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება და ხელისუფლებაც შეიცვლება. მჯერა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. პირველი, რასაც გავაკეთებთ, ეს იქნება მაჟორიტარული სისტემის გაუქმება. არჩევნები საქართველოში რეგიონულ-პროპორციული სიებით უნდა ჩატარდეს.

***– თავად თუ აპირებთ მაჟორიტარად კენჭისყრას?***

– საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ მაქვს. თუ გადავწყვიტე, სამგორში ვიყრი კენჭს. აქ ორჯერ მოვიგე არჩევნები.

***– ამბობთ, თუ გადავწყვიტეო და რამე გიშლით ხელს?***

– მე პარტიის საარჩევნო შტაბში ვარ აქტიურად ჩართული და შესაძლოა, მაჟორიტარობისთვის დრო აღარ დამრჩეს.

# მეთიუ ბრაიზა: „ნატოსა და დასავლეთისკენ საქართველოს სწრაფვის ინტენსიურობა შემცირდა“

**– ნატოსკენ და დასავლეთისკენ საქართველოს სწრაფვის ინტენსიურობა შემცირდა. აგვისტოს ომამდე არცერთი პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი არ იტყოდა, რომ საქართველომ დასავლეთზე მეტად რუსეთთან ურთიერთობაზე უნდა იფიქროს, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მეორე მოადგილე მეთიუ ბრაიზამ „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციისთვის მიცემულ ინტერვიუში.**



როგორც ბრაიზა აღნიშნავს, ფართო სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველომ შეინარჩუნა ევროატლანტიკური კურსი, თუმცა, ის აქვე აღნიშნავს, რომ პერიოდულად მთავრობის წარმომადგენლებისგან განსხვავებული განცხადებებიც ისმის.

– თვალშისაცემია ომის შემდგომ საქართველოში ქვეყნის დასავლურ ბედზე ოპტიმიზმის კლება, ნატოსადმი მხარდაჭერა საქართველოში ისევ ძლიერია, შენელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამავდროულად, უფრო ხშირად გვხვდება საქართველოს გეოგრაფიის მიღება, იმის მიღება, რომ საქართველო რუსეთის მეზობელია, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ სურს. ფართო სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველომ შეინარჩუნა ევროატლანტიკური კურსი.

ჩვენ ვნახეთ პოლიტიკური სპექტრში, მათ შორის პარლამენტსა და „ქართული ოცნების“ მთავრობაში, განცხადებები, რომ საქართველოს ადგილი დასავლეთში და ტრანსატლანტიკურ საზოგადოებაშია. მაგრამ ნატოსკენ და დასავლეთისკენ საქართველოს სწრაფვის ინტენსიურობა შემცირდა. პერიოდულად გვესმის მთავრობის წარმომადგენლებისგან, რომ ზოგიერთები ქვეყნის ორიენტაციის ცვლილებას განიხილავენ, ხშირად ამ განცხადებებს შესწორებები ახლავს, რაც კარგია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აგვისტოს ომამდე, არც ერთი პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი არ იტყოდა, რომ საქართველომ დასავლეთზე მეტად რუსეთთან ურთიერთობაზე უნდა იფიქროს, – განაცხადა ბრაიზამ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მეორე მოადგილე ასევე ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, საქართველოს მთავრობამ სწორი სტრატეგია შეიმუშავა.

– ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონებთან მიმართებით სწორი სტრატეგია შეიმუშავა, რასაც თვითონ „სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკას“ უწოდებენ, როცა რეინტეგრაციის პროცესს არ აჩქარებენ, არამედ ამ რეგიონების მოზიდვას კონსტრუქციულად ცდილობენ, – აცხადებს მეთიუ ბრაიზა.

ის ასევე იმედოვნებს, რომ საქართველო ევროპულ ისტორიაზე ხელს არ ჩაიქნევს.

– ვფიქრობ, 10-15 წელიწადში საქართველოს ამბავი იქნება ის, რომ საქართველო ძლიერ შეარყია რუსეთის აგრესიამ, რომ დროებით დაკარგა ტერიტორიები, მაგრამ დროთა განმავლობაში „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკამ და დასავლეთში გამოფხიზლებამ საქართველოს ახალი შანსი მისცა. საქართველო ამ შანსს იყენებს და თავის კურსს უბრუნდება. დღეს წარმოუდგენელია იმის განჭვრეტა, თუ როდის იქნება საქართველო ევროპის კავშირის ან ნატოს წევრი, მაგრამ მე არ მეეჭვება, რომ, წევრობის მიუხედავად, საქართველოს კავშირები ორივე ორგანიზაციასთან იქნება უფრო მყარი, – დასძინა ბრაიზამ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ნაციონალებს ხალხი ცოცხლებით გარეკავს“

## ზვიად ჩიტიშვილი: „სააკაშვილისა და გიულენის მუქარის არავის ეშინია“



რა მოხდა 4 აგვისტოს ბათუმში, რა გზავნილი მიიღეს მიხეილ სააკაშვილისგან, ასრულებენ თუ არა „ქართული ოცნების“ დაკვეთებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– სანამ სხვა თემებზე საუბარს დავიწყებ, აუცილებლად მინდა გავიხსენო ყველა ჩვენგანისთვის ტრაგიკული თარიღი – 8 აგვისტო. 2008 წლის 8 აგვისტოს მოხდა გაუგონარი საშინელება, როცა სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა რეჟიმმა სრულიად გაუმართლებელი ომი დაიწყეს.

ამ ომში უამრავი ახლობელი დავკარგე. მე დედა ოსი მყავს და ნათესავები იქითა მხარესაც დამეღუპა. ჩემთვის ეს თარიღი ორმაგად მტკივნეულია. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ასეთი ტრაგედია აღარასდროს მოხდეს. დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ომზე არასდროს არ უნდა ვიფიქროთ.

2003 წელს ნაციონალები რომ არ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში, დღეს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აღარ იქნებოდა. იმ დროისთვის ცხინვალთან ყველაფერი მოგვარებული იყო. აფხაზებთანაც ნელ-ნელა გვარდებოდა პრობლემა. ამათ მოსვლის შემდეგ ყველაფერი უკუღმა წავიდა. მე კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ 2008 აგვისტოს დაღუპულებს და იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში არასდროს არ იქნება ომი.

ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ხელისუფლებაში ნაციონალები აღარ დაბრუნდებიან. მათი დაბრუნების შემთხვევაში ქვეყანას სამოქალაქო ომი ემუქრება. ყოფილი ხელისუფლება ძალაუფლების დასაბრუნებლად ყველაფერზე წავა. ეს აჭარაში მომხდარი ინციდენტიდანაც კარგად ჩანს.

***– თქვენი პარტიის მიერ გამართულ აქციაზე მომხდარ ინციდენტზე საუბრობთ?***



კორკოტას იქით დაემალნენ ნაციონალები

– ჩვენს აქციაზე ისეთი არაფერი მომხდარა. ინციდენტი აჭარის მაღალმთიან კურორტ ბეშუმში მოხდა. იქ იმყოფებოდა ქვეყნის პრემიერი და მოსახლეობას სიტყვით მიმართა. ამ დროს იქ მიცვივდნენ ნაციონალები და შეეცადნენ, მისთვის სიტყვით გამოსვლა შეეწყვეტინებინათ.

ეს საქციელი რომელიმე სხვა პარტიის წარმომადგენელს რომ ჩაედინა, ჩვეულებრივ ამბად ჩავთვლიდი, მაგრამ, როცა ამას ძებნილი სააკაშვილის თანაპარტიელები ბედავენ, ეს უკვე საგანგაშოა.

არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ნაციონალები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველა ძალას მიმართავენ. ამაში მათ უცხოეთის სპეცსამსახურებიც უწყობენ ხელს. განსაკუთრებით აქტიურობს ამერიკა. ცოტა ხნის წინ გამოვიდა მაკკეინი და გვითხრა, სააკაშვილს რაც არ უნდა ჩაედინა, მისი გასამართლება არ შეიძლებოდაო.

რა გამოდის, ამერიკის ყველა მოქალაქის უფლება დაცული უნდა იყოს და საქართველოს მოქალაქეებს რას უზამენ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაინტერესებს, რას იტყოდა მაკკეინი, სააკაშვილის ხელისუფლებას ამერიკის მოქალაქე მამაკაცები რომ გაეუპატიურებინა? ასეთი საშინელების პატიება არ შეიძლება.

მინდა, თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ ჩვენ ამ საქმეების ასე დატოვებას არ ვაპირებთ. ჩვენ არ გვაინტერესებს, რას ფიქრობს მაკკეინი. ჩვენთვის მთავარია ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ხალხის დაკვეთა. ხალხი კი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

ახლახან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე მამაკაცმა, რომლებიც ციხეებში გააუპატიურეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი თბილისში მოხდა. უბანს შეგნებულად არ დავასახელებ. ამ ახალგაზრდამ ახლობლებსა და ნაცნობებს დაურიგა თავის ნივთები, სახლში მისულმა თავი ჩამოიხრჩო. ვეკითხები მაკკეინის, ამის გამო არ უნდა გასამართლდეს სააკაშვილი? ან იქნებ მაგისთვის ჩვეულებრივი ამბავია ის ფაქტი, რომ მამაკაცების გაუპატიურებას ვიდეოზე იღებდნენ და შემდეგ ამ კადრებს უყურებდნენ.

### იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში არასდროს იქნება ომი



ჩვენ ამერიკის საელჩოს წინ ერთხელ უკვე გავმართეთ აქცია და მოვუწოდეთ, თავი დაანებონ დამნაშავე რეჟიმის მხარდაჭერას. მინდა იცოდეს მაკკეინმა, რომ ხალხი ნაციონალების დაბრუნებას არ დაუშვებს. თუ მაინც დააბრუნებენ იცოდნენ, რომ ხალხი მათ ცოცხებით გარეკავს.

მაკკეინი და მისი მსგავსი პოლიტიკოსები თუ კიდევ შეეცდებიან ყოფილი ხელისუფლების „გაპრავებას“, ჩვენ კიდევ მივალთ ამერიკის საელჩოსთან და ცოტა უფრო მკაცრ აქციას გავმართავთ.

***– მაკკეინის ფიტულს ხომ არ დაწვავთ?***

– ასეთი განცხადებები თუ გააგრძელა, შესაძლოა, დავწვათ კიდევაც. ეს ადამიანი უნდა ჩამოყალიბდეს და გაარკვიოს, ვისი მეგობარია, საქართველოსი თუ ნაციონალების. ნაციონალების მეგობარი საქართველოს მეგობარი ვერასდროს იქნება.

***– ფიტულების დაწვაზე ვსაუბრობთ და რატომ დაწვით ბათუმში სააკაშვილის ფიტულთან ერთად გიულენის ფიტული?***

– გიულენი სააკაშვილის ოჯახისა და ნაციონალების დამფინანსებელია. მის სასწავლებლებში რომ ცუდი ამბები ხდება, ამის შესახებ განცხადება თავად თურქეთის კონსულმა გააკეთა.

მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, რომ ის იდგა თურქეთის პუტჩის უკან. თავისი ხალხი არ დაინდო და, როგორ გგონიათ, საქართველოს მოსახლეობას დაინდობს? მას სააკაშვილთან ერთად ბინძური გეგმა ჰქონდა მოფიქრებული. სანამ პრეზიდენტობის ვადა ამოეწურებოდა, რამდენიმე ათეულ ათას ეთნიკურ თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. მათი დახმარებით არევდა სიტუაციას. იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთში პუტჩი გამოვიდოდა და მერე იქიდან შემოიყვანდნენ ბოევიკებს. თურქეთში გიულენის პუტჩი ჩავარდა. ახლა ის საქართველოზე გადმოიტანს აქცენტს.



ნაციონალების მეგობარი საქართველოს მეგობარი ვერასდროს იქნება

***– ფიტულის დაწვით შეაჩერებთ?***

– მისი ფიტულის დაწვა იყო გამაფრთხილებელი აქცია. ჩვენ გიულენსაც და მის მიმდევრებსაც ვაჩვენეთ, რომ ქართველი ხალხი მას არ აჰყვება. ამ აქციის შემდეგ მისი ახლობლების სახელით მომიტანეს მუქარის შეტყობინება. მინდა, ვისარგებლო საშუალებით და აქედან შევუთვალო, რომ მისი არავის ეშინია და ფეხები არავის მოსჭამოს.

სხვათა შორის, მუქარა მომივიდა სააკაშვილისგანაც. თბილისში ნაციონალების ოფისთან მისი ფიტული რომ დავწვით, ძალიან გაბრაზდა და ლიკვიდაციით დამემუქრა. არც მაგის და არც მაგის ბანდის არ მეშინია.

***– და ამის დასამტკიცებლად დაწვით სააკაშვილის ფიტული ბათუმში?***

– ამით, ბუნებრივია, დავამტკიცეთ, რომ მაგის არავის ეშინია. ფიტულის დაწვა კი ისედაც დაგეგმილი გვქონდა. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუშიც ვთქვი, რომ ფიტულები რეგიონებშიც უნდა დაგვეწვა.

***– კიდევ აპირებთ ფიტულების დაწვას?***

– ფიტულის დაწვამ უკვე გამოიღო თავისი შედეგი. შესაძლოა, ბრძოლის სხვა მეთოდი მოვიფიქროთ.



ფიტულის დაწვამ უკვე გამოიღო თავისი შედეგი

***– მინდა, ბათუმში მომხდარი ინციდენტის შესახებაც გკითხოთ. სოციალური ქსელით გაავრცელეს ფოტოები, სადაც ჩანს, რომ აქციის ერთ-ერთი მონაწილე გია კორკოტაშვილი ხის ქვეშ დგას. ნაციონალები ამტკიცებენ, იმალებაო.***

– მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომ რაზე უნდა დამალულიყო კორკოტა? ის არის ვაჟკაცი ადამიანი და არასდროს არსაიდან არ გარბის. იქ მით უმეტეს არაფერი ყოფილა გასაქცევი.

ფოტო იმ დროს გადაიღეს, როცა ოფისთან მივდიოდით. იქ ხეებია და ასე თავდახრილმა უნდა გაიარო. ეს დააფიქსირეს და ატეხეს ერთი ამბავი. შავი პიარი კარგად გამოსდით. მინდა ვუთხრა ყველას, რომ კორკოტა არ დამალულა. კორკოტას იქით დაემალნენ ნაციონალები. ვერც თბილისში და ვერც ბათუმში მათ გარეთ გამოსვლა ვერ გაბედეს.

***– გინდათ თქვათ, რომ არანაირი შეხლა-შემოხლა არ მომხდარა?***

– მსგავსი არაფერი ყოფილა.

***– აბა, რატომ დაიჭირეს თქვენი ერთ-ერთი მხარდამჭერი?***

– ოფისში შეკეტილი ნაციონალები იგინებოდნენ და იმათ შეუვარდა. ამიტომ დააკავა ის ბიჭი პოლიციამ, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. იმდენი ვერ გაბედეს, თავიანთი ბელადის ფიტული გადაერჩინათ და კორკოტაზე ამბობენ, დაიმალაო.

***– ისე, ამბობენ, რომ ფიტული ბოლომდე ვერ დაწვით.***

– ორივე ფიტული ფერფლად ვაქციეთ. პოლიციამ დაასხა მერე წყალი. ჩვენ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფიტული უკვე დამწვარი იყო და მეორე, სააკაშვილისა და გიულენის გამო ჩვენ პოლიციასთან წინააღმდეგობაში არ შევიდოდით, თან აშკარა იყო, რომ ჩვენ მხარეს იყვნენ.

***– ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვარშალომიძე ამბობს, რომ ეს აქცია „ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩაატარეთ?***

– ეს არის სისულელე. „ქართული ოცნება“ მაგათი გაპრავებით არის დაკავებული. ჩვენ ამ აქციით ყველას დავანახეთ, რომ საქართველოში მათი ატანა არავის აქვს.

***– ბოლო დროს სულ ნაციონალების წინააღმდეგ მართავთ აქციებს და ამომრჩეველს ეს მოეწონება?***

– ხალხის მთავარი დაკვეთა სამართლიანობის აღდგენაა. ჩვენი აქციებიც ამისკენ არის მიმართული. ამ აქციებით ისიც დავამტკიცეთ, რომ ნაციონალები არიან მშიშრები – მათ ვერც თბილისში და ვერც ბათუმში ვერ გაბედეს ჩვენთან გამოსვლა. სხვა არცერთი პარტია ასე არ შეხვდებოდა ლიდერის ფიტულის დაწვას, მაგრამ ესენი ხომ სხვა პარტია არ არიან. ესენი მაშინ იყვნენ მაგრები, სახელმწიფო მანქანა რომ უმაგრებდა ზურგს. „ქართული ოცნების“ სისუსტე რომ არა, ეგენი საერთოდ ვერ გამოვიდოდნენ გარეთ.

# ვახტანგ ძაბირაძე: „პაპუაშვილი ვალდებულია თქვას, რომელ მოსამართლეზე იყო ზეწოლა“

ნათია ხურცილავა





დემოკრატიისკენ ნაბიჯი გადავდგით. ხელისუფლებამ აღიარა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ორგანო, არსებობს

კონსტიტუციონალისტი, პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე გამოძიებამ ნათელი სურათი უნდა დადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტოლოგის აზრით, ეს პროცესი მარტივად არ დასრულდება.

***— ბატონო ვახტანგ, საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რა შეფასებას გააკეთებთ? ბესელია აცხადებს, რომ ადგილი აქვს საკონსტიტუციო რევოლუციის მცდელობას.***

— მთელ ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ორი ფაქტორის გათვალისწინება: პირველი, როგორც იქნა, აღმოვაჩინეთ, რომ ქვეყანაში ნამდვილად არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო. ამას ხაზგასმით ვამბობ, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლო თითქმის 25 წელია, რაც არსებობს, მაგრამ საზოგადოების დაინტერესების საგანი ეს ინსტიტუცია არასდროს ყოფილა. არადა, ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლო უმნიშვნელოვანესია. რამ გამოიწვია ეს მაღალი ინტერესი? გამოიწვია იმან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელისუფლებამ რეაგირება დაიწყო.

ხელისუფლებამ აღიარა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ორგანო, არსებობს.

მეორე ფაქტორი არის ის, რომ შესაძლებელი გახდა ქვეყანაში სამართლებრივი გზით იმის გაპროტესტება, რისი ავტორიც თავად ხელისუფლება, ამ შემთხვევაში კი პარლამენტია.

სანამ „ქართული ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, მანამდე არცერთ ხელისუფლებას ამის არცერთი პრეცედენტი არ დაუშვია. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეულწილად ჩვენ დემოკრატიისკენ წინ გადავდგით ნაბიჯი, ხელისუფლებამ ეს დაუშვა, და, რასაკვირველია, ეს კარგია, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან როგორც კი მოსამართლეებზე ზეწოლის შესახებ განცხადება გაკეთდა, ეს მონაპოვარი განულდა, დაიკარგა, ჩაქრა.

***— არ უნდა გაეკეთებინა?***

— ამ განცხადებაში აშკარად პოლიტიკური ელფერი გამოიკვეთა. ბატონი პაპუაშვილი ვალდებულია, რომ პროკურატურას უთხრას, დაუსახელოს, თუ ვისზე ზეწოლას გულისხმობდა ის და, თუ არის ეს ფაქტი, დაუყოვნებლივ მიაწოდოს. უნდა დაასახელოს მან ეს მოსამართლეები. შეიძლება, ეს არ გასაჯაროვდეს, მაგრამ გამომძიებლებს ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

***— წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მსგავსი ფაქტი ვერ დაასახელა?***

— ეს იქნება წმინდა წყლის ავანტიურა. მან ამ განცხადებით პირდაპირი დარტყმა მიაყენა იმ ორგანოს, რომლის თავმჯდომარეც თავად არის. ეს გამოიწვევს საზოგადოებაში გაჩენილი იმედების, გარკვეული ნდობის დაკარგვას.

საზოგადოების ეს „აღმოჩენა“, ნათელი წერტილი უცებ ბურუსმა მოიცვა და, რაც მთავარია, გაჩნდა კითხვის ნიშნები. ამიტომ აქ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მართებს ხელისუფლებას, პროკურატურას, რომ ნათელი და ობიექტური სურათი დადოს. გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი და სრულიად ობიექტური. თუ, რასაკვირველია, ეს ფაქტები არ დადასტურდა, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო.

***— პოლიტიკური ქვეტექსტი შეიძლება იკითხებოდეს?***

— რა თქმა უნდა. სხვაგვარი ქვეტექსტი აქ რა შეიძლება იყოს. ყველა მოსამართლემ, რომელიც პროკურატურაში იყო დაბარებული, ღიად განაცხადა, რომ მასზე ზეწოლა არ ყოფილა. რა გამოდის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს დაესიზმრა?!

პაპუაშვილმა ამით ნაბიჯი გადადგა იქით, რასაც პროვოცირება და ცილისწამება ჰქვია არა რომელიმე პიროვნების, არამედ სახელმწიფო ინსტიტუციის მიმართ. საზოგადოებას ზოგადად დიდი ნდობა არ აქვს სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ამის დაემატა ეს მოვლენები და აქედან ვინ გამოვიდა გამარჯვებული, რა მიიღო ამით სახელმწიფომ?! ამას დაემატა ისიც, რომ საპარლამენტო უმრავლესობაც ჩაერთო დებატებში.

***— სარჩელების შეცვლასთან დაკავშირებით მოსამართლე ტურავა აცხადებს, რომ ამ საკითხს პლენუმი შეისწავლის. მოსამართლეთა ნაწილმა კი გააკეთა განცხადება, რომ ამით კანონი არ დარღვეულა და ამის შესახებ სხვებმაც იცოდნენ. თუ რეალურად ადგილი ჰქონდა სარჩელის შეცვლას, ეს რას გამოიწვევს?***

— თუ აღნიშნული ფაქტი რეალობას შეესაბამება და მართლაც ვიღაც ცვლიდა სარჩელებს, ეს არის დოკუმენტაციის გაყალბება და ამას სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს. საკმაოდ მკვეთრი და მკაცრი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რადგან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში არის შესაძლებელი ერთი დოკუმენტის მეორით ჩანაცვლება, ეს საერთოდ გაუგებარია. ამ შემთხვევაში ინსტიტუციაზე, როგორც ასეთზე, საუბარიც კი ზედმეტია.

ეს საქმე გამოძიებული უნდა იყოს და რეალობა უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რა მოხდა და რასთან გვქონდა საქმე, თუ გვინდა, რომ ერთი ინსტიტუცია მაინც არსებობდეს ქვეყანაში, რომლის მიმართ მოქალაქეებს ნდობა ექნებათ.

***— ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ე.წ. გახმაურებულ საქმეებს შეიძლება უკავშირდებოდეს?***

— ეს პროცესი სამართლებრივი ჩარჩოდან გადის და უფრო პოლიტიკური პროცესია. ამ პროცესში სასამართლო ერთ-ერთი მექანიზმია.

საკონსტიტუციო სასამართლოს ნაციონალები ერთ-ერთ ბერკეტად იყენებენ იმისთვის, რომ პოლიტიკური პროცესი დაარეგულირონ. რამდენად უკავშირდება ეს ე.წ. გახმაურებულ საქმეებს, უკვე მეორეხარისხოვანია. პოლიტიკოსებმა, რა თქმა უნდა, განცხადებები უნდა გააკეთონ, მაგრამ მეორე მხარემ, კონკრეტულად კი სახელმწიფომ, უნდა იმუშაოს და დაადგინოს, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესი ასე მარტივად არ დასრულდება. ყველაფერი მიდის იქითკენ, თუ რა იქნება არჩევნებზე და მის შემდეგ. ეს იკითხება ნებისმიერ საკითხში.

# საკონსტიტუციო სასამართლოთი პოლიტიკურად ვაჭრობენ

**საკონსტიტუციო სასამართლოს გარშემო ატეხილი სკანდალი ნელ-ნელა დაემსგავსა ჭიქაში ამოვარდნილ ქარიშხალს.**

**ბევრს ეცადა გიორგი პაპუაშვილი და მისი გუნდი, რომ საერთაშორისო ყურადღება მიეპყრო და მოახერხა კიდეც, მაგრამ, როგორც ქართველმა, ისე საერთაშორისო ექსპერტებმა საქმეში დეტალურად ჩაიხედეს და მიხვდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, უბრალოდ, პოლიტიკურად ვაჭრობდა.**




თავიდან თუ გავიხსენებთ, პაპუაშვილმა ხმამაღლა განაცხადა, ჩემს მოსამართლეებზე ზეწოლა ხორციელდებაო და ის კი აღარ უთქვამს, რომ ეს მოსამართლეები მისი კი არა, საკონსტიტუციო სასამართლოსი და ქვეყნის არიან.

„მისი მოსამართლეები“ ჯერ დაიბნნენ, მერე კი წერილიც აფრინეს, აქაოდა, გვჩაგრავენო, მაგრამ ხმა ადვოკატებმა ამოიღეს და პასუხგაუცემელი კითხვებიც დაგროვდა. მაგალითად, ის, თუ რატომ არ იძვროდა თვეების განმავლობაში მოსამართლეთათვის უმნიშვნელო საქმეები ადგილიდან და რატომ განიხილავდნენ ისინი დაჩქარებული წესით გიგი უგულავასა და კაბელების საქმეს?!

მაგალითად, ის, თუ რატომ განიხილა რუსთავი 2-ის საქმე მაია კოპალეიშვილმა. მოგეხსენებათ, კოპალეიშვილი ნიკა გვარამიას განათლების მინისტრობის პერიოდში მისი მოადგილე იყო, იუსტიციის მინისტრობის პერიოდშიც მოადგილეობდა გვარამიას და, ამავდროულად, რუსთავი 2-ის დირექტორთან ნათელმირონობაც აკავშირებს. ახლა თუ ვინმე იტყვის, რომ კოპალეიშვილი მიუკერძოებელი იქნებოდა, კი ბატონო, მოვუსმენთ.

საინტერესოა ისიც, რომ გახმაურებულ საქმეებს პაპუაშვილი რატომღაც ყოველთვის პირველ კოლეგიას აწერდა და პირველი კოლეგიაც შესაშური ოპერატიულობით სწავლობდა და ნიშნავდა სხდომებს, ასევე შესაშური ოპერატიულობით „აჩაქუჩებდა“ გადაწყვეტილებებს და ეს მაშინ, როცა სხვა საქმეები თაროზე თვეობით დევს.

ყველაზე საინტერესო და... უფრო სწორად, ყველაზე არაადეკვატური, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ჩაიდინა, სარჩელის გადაკეთება გახლდათ ანუ ტელეკომპანიის ადვოკატების მიერ შეტანილი სარჩელი მოსამართლეებმა ისე, თავისთვის განიხილეს, ტელეკომპანიის ადვოკატები დაიბარეს, შენიშვნები მისცეს, სარჩელი დაამძიმებინეს და წარმოებაში ახლიდან ისე მიიღეს. ასეთი რამ სასამართლო პრაქტიკას საქართველოში კი არა, ბურუნდიში და ლესოტოში არ ახსოვს.

ახლა შესაძლოა თქვათ, ბურუნდიში სასამართლო საერთოდ არ არისო, მაგრამ ისეთ ყოფას, როგორიც ჩვენთანაა, არყოფნა სჯობს, ალბათ, გეცოდინება მაინც, რომ არ არსებობს, თორემ ასე რა გამოდის? გვაქვს და იმ კაცის ნებასურვილზეა დამოკიდებული სამართალი, რომელიც ახლა ოდესაში რუმინეთთან დამაკავშირებელ გზას აგებს და გაიძახის, გადატრიალება უნდა მოვახდინო უკრაინის ეკონომიკაშიო.

უკრაინის ეკონომიკის რა გითხრათ, მაგრამ საკონსტიტუციო გადატრიალების მცდელობას რამდენჯერმე რომ ჰქონდა ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, ფაქტია და, რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ პაპუაშვილი კონკრეტული პარტიული ჯგუფის დაკვეთებს არ ასრულებს, არაფერი გამოვა – ფაქტი ჯიუტია და, ესეც რომ არ იყოს, იმდენი დამთხვევაა, თავად პაპუაშვილის გარდა, უხერხულობას ყველა გრძნობს.

„ეს იმ მაჯლაჯუნების ბოლო გაფართხალებაა, რომლებმაც ქვეყნის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი სათავისოდ მოირგეს და ჯიბეში ჩაიდეს“, – თქვა ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ და, ღმერთმა ქნას, ეს გაფართხალება ქვეყნისთვის კატასტროფულად არ დასრულდეს.

# ცესკომ ამომრჩეველთა სია განაახლა

## 15 ივლისის მდგომარეობით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3.452.0930-ს შეადგენს

თითოეულ მოქალაქეს საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეუძლია სპეციალურ საიტზე. ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმებისას, მომხმარებელი ასევე ნახავს ინფორმაციას, თუ რომელ საარჩევნო უბანზეა რეგისტრირებული.

ამომრჩეველთა განახლებული სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია ხელმისაწვდომია საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებისთვის, საარჩევნო ბლოკებისთვის, საინიციატივო ჯგუფებისთვის, საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და ამომრჩევლებისთვის (ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ საკუთარი და ოჯახის წევრების შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა).

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა (2016 წლის 22 სექტემბერი) და მოითხოვოს ცვლილების შეტანა (საქართველოს ორგანული კანონის – საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლი).

შეგახსენებთ, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები) საარჩევნო ადმინისტრაციას წელიწადში 4-ჯერ გადასცემენ (1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისსა და 1 ნოემბერს) საარჩევნო უფლებისა და ამავე უფლების არმქონე პირების შესახებ მონაცემებს.

**მედიანიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# აფხაზეთის ახალი პრემიერი მთავრობის ახალ შემადგენლობას წარადგენს

მარიამ მჭედლიშვილი

მალე ანექსირებული აფხაზეთის დე ფაქტო ახალი პრემიერი ბესლან ბარციცი მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობასა და სტრუქტურას წარადგენს.

როგორც ცნობილია, შექმნილი კრიზისული სიტუაციის გამო წინა პრემიერი დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გაუშვა.

ამას წინ უძღოდა ოპოზიციის ხანგრძლივი პროტესტი. ოპონენტები ხან პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდნენ, ხან პრემიერისადმი უნდობლობის საკითხს სვამდნენ. განსაკუთრებით მწვავე გამოსვლები იყო შინაგან საქმეთა მინისტრ ძაპშბას წინააღმდეგ. ბოლოდროინდელი ბრალდება მის მიმართ ეხებოდა ზეწოლას თანამშრომლებზე. იგი სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა სისტემის წარმომადგენლებს, თუ ისინი ან მათი ოჯახების წევრები მონაწილეობას მიიღებდნენ რეფერენდუმში.

ძაპშბა იძულებული გახდა, პროკურატურის მოკვლევის დამთავრებამდე გადამდგარიყო. მოვლენები კი ისე განვითარდა, რომ რეფერენდუმი ჩაიშალა. ამდენად, გაურკვეველი დარჩა, უნდა თუ არა ხალხს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

როცა დღის წესრიგში ისევ დადგა პრემიერ მიქვაბიასათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი, ხაჯიმბამ ის გაათავისუფლა.

ახალი პრემიერი ბესლან ბარციცი 1978 წელსაა დაბადებული. მან დეპუტატობაც მოასწრო და მოხელეობაც. მისი ბოლო თანამდებობა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა



იყო.

– მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები იქნება და ამან არავინ უნდა ალაშფოთოს. გადაყენებები იქამდე მოხდება, სანამ მთავრობის ეფექტიანი მუშაობა არ აეწყობა, – განმარტავს ხაჯიმბა.

ბარციცის რწმენით, ახალი მთავრობა დროის შესაბამისად იმუშავებს.

– პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტისაგან დინამიკასა და ხარისხს მოითხოვს, – აღნიშნავს იგი.

ცვლილებების შემყურე აფხაზეთის ოპოზიცია ჯერჯერობით გაჩერებულია, თუმცა ყველაზე რადიკალები აუცილებლად გააქტიურდებიან. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა – პრეზიდენტის გადადგომა – დაკმაყოფილებული არ არის.

აფხაზეთში ინერგება ისეთი აზრიც, რომ ოპოზიციამ კრახი განიცადა და დასამარდა. ამგვარი მოსაზრება გამოთქვა აფხაზურ-რუსულ მრგვალ მაგიდასთან ბესლან კობახიამ, რომელიც აფხაზ-აბაზთა კონგრესის წარმომადგენელია.

– პოლიტიკურმა ძალებმა ხალხს იმედი გაუცრუეს. მოსახლეობა მათ დაპირისპირებას მხარს აღარ უჭერს. ამის დადასტურებაა არშემდგარი რეფერენდუმი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში გაქრა ოპოზიცია. მას ჩაანაცვლებს სხვა ძალა. ალბათ, ეს უფრო იქნება ახალგაზრდობა, რომელსაც ცვლილებები, მათ შორის, ხელისუფლებაში ახალი სახეები სურს. აფხაზეთის საზოგადოება დაიღალა ძვრებისაგან და მივიდა დასკვნამდე, რომ მოვიდა შენებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობის დრო, – განაცხადა ბესლან კობახიამ.

ხაჯიმბას კიდევ ერთი საკადრო ცვლილება ეკონომიკის სფეროს ეხება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკის სამმართველოს უფროსად ახალგაზრდა ახრა არისტავა დაინიშნა.

რაულ ხაჯიმბა ბევრ რამეს ცვლის და ცდილობს დაამკვიდროს აზრი ოპოზიციის კრახის შესახებ. ამ ეტაპზე უპირატესობა მის მხარესაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხაჯიბამ ხანგრძლივად გაიმაგრა პოზიციები.

# ვისგან მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე მეტი ფულადი შემოწირულებები

2016 წლის ივლისში პარტია „ქართული ოცნების“ ანგარიშზე ყველაზე მსხვილი შემოწირულება – 120 ათასი ლარი შპს „ალფამ“ გადარიცხა, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარდგენით არჩეულ კასპის ყოფილ მაჟორიტარ კობა კურდღელაშვილს ეკუთვნის. მმართველი პარტიის შემომწირველ ფიზიკურ პირებს შორის კი ყველაზე მეტი თანხა ახლადწარდგენილმა მაჟორიტარობის კანდიდატებმა და ნაციონალური მოძრაობიდან არჩეულმა პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ჩარიცხეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების მიერ 2016 წლის ივლისში მიღებული შემოწირულებების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე მსხვილი შემოწირულება – 120.000 ლარის ოდენობით – შპს „ალფასგან“ მიიღო.



კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ შპს „ალფა“ 2010 წელს დაფუძნდა. მისი დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია კობა კურდღელაშვილი, რომელიც 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტში კასპის მაჟორიტარი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან.

კობა კურდღელაშვილი ბიზნესის სფეროში 1992 წლიდან საქმიანობს. შპს „ალფას“ გარდა, იგი წილებს კიდევ 13 საწარმოში ფლობს: შპს „ლუქსი ქუთაისი“ (55%); შპს „ჭრელი აბანო“ (15%); შპს „ლუქსი პროვაიდერი“ (50%); შპს „მარანი“ (86%); შპს „ლუქსი 2007“ (50%), შპს „დაკო“ (50%), შპს „ბიარ ჯორჯია“ (50%), შპს „მელიორა“ (50%), შპს „ივერია“ (5%, ამავე საწარმოში წილის 40% ეკუთვნის შპს „ალფას“), შპს „ლუჩიანო“ (45%), შპს „ლუქსი 2004“ (50%), შპს „ვესტინი“ (60%) და შპს „სკაი ჰაუსი“.

კობა კურდღელაშვილი ბიზნესმენისა და ნაციონალური მოძრაობიდან არჩეული პარლამენტარის კახაბერ ოქრიაშვილის მეგობარია, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ მაჟორიტარობის კანდიდატად იქნა წარდგენილი წალკა-დმანისის საარჩევნო ოლქში. კახაბერ ოქრიაშვილის და კობა კურდღელაშვილის ინტერესები ბიზნესის სფეროში ოფიციალურად არ იკვეთება, თუმცა მათ არაერთი საერთო ბიზნესპარტნიორი ჰყავთ. ამასთან, კურდღელაშვილს ერთობლივი ბიზნესი აქვს კახაბერ ოქრიაშვილის ძმასთან ვაჟა ოქრიაშვილთან – ისინი შპს „ლუქსი პროვაიდერში“ კაპიტალის 50-50% წილის მესაკუთრეები არიან.

კობა კურდღელაშვილი ფიგურირებდა თბილისის გოგირდის აბანოებთან დაკავშირებულ დავაში. ყოფილი მესაკუთრე მას ქონების იძულებით ჩამორთმევაში თანამონაწილეობას ედავებოდა. იგი აცხადებდა, რომ „ჭრელი აბანო“ პროკურატურის ზეწოლის შედეგად 2006 წელს ჩამოართვეს და იგი სახელმწიფოს გადაეცა, შემდეგ კი ეს ქონება კობა კურდღელაშვილის საკუთრებაში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა სახალხო დამცველსა და მთავარ პროკურატურას მიმართა, მის საჩივრებს არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ თბილისის გოგირდის აბანოსა და „ჭრელი აბანოს“ ურთიერთშერწყმა სწორედ კობა კურდღელაშვილმა და მისმა პარტნიორებმა მოახდინეს 2008 წლის მაისში.

როგორც აღინიშნა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კობა კურდღელაშვილი ნაციონალური მოძრაობიდან იყო წარდგენილი კასპის მაჟორიტარად. იმ პერიოდში მას რაიმე სახის შეწირულება პირადად არ განუხორციელებია, თუმცა მისი ბიზნესპარტნიორები აქტიურად ეხმარებოდნენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. მაგალითად, ვაჟა ოქრიაშვილმა (შპს „ლუქსი პროვაიდერი“) 60.000 ლარის შეწირულება გადარიცხა, ალექსანდრე ქამუშაძემ (შპს „ივერია“) – 10.000 ლარი, ზურაბ კიკალეიშვილმა (შპს „ლუჩიანო“) – 2.600 ლარი.

საინტერესოა, რომ უკანასკნელ პერიოდში შპს „ალფა“ აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო შესყიდვებში, თუმცა მხოლოდ ორი დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იღებს მონაწილეობას და, როგორც წესი, იმარჯვებს კიდეც. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მონაცემებით, ამ კომპანიამ 2015-2016 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფას“ (ს/კ 404482537) მიერ საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ 13 ტენდერში გაიმარჯვა. აღნიშნული ტენდერების სახელშეკრულებო ღირებულებამ კი, ჯამში, 1.077.395 ლარი შეადგინა.

იმავე კომპანიამ გაიმარჯვა შს სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის მიერ გამოცხადებულ ორ ტენდერშიც, რომელთა ღირებულება, ჯამში, 201.540 ლარს შეადგენდა. ამავე უწყების მიერ 2015 წელს გამოცხადებულ ერთ-ერთ ტენდერში ასევე გაიმარჯვა „ალფას“ შვილობილმა კომპანიამ – შპს „ივერიამ“, რომლისგანაც 185.500 ლარის ღირებულების ძეხვეულის შესყიდვა განხორციელდა.

რაც შეეხება 2016 წლის ივლისში ფიზიკური პირებისგან მიღებულ შეწირულებებს, სახელისუფლებო პარტიამ მაქსიმალური თანხა მხოლოდ ერთი პირისგან მიიღო – მას 60.000 ლარი გადაურიცხა ჩაჩავას კლინიკის გენერალურმა დირექტორმა ელგუჯა გოცირიძემ, რომელიც „ქართული ოცნებიდან“ 50 (ტყიბული-თერჯოლა) საარჩევნო ოლქშია წარდგენილი მაჟორიტარად.

55.000 ლარის შეწირულებები განახორციელეს ქუთაისის 47 და 49 ოლქებში მაჟორიტარად წარდგენილმა კანდიდატებმა გენადი მარგველაშვილმა და კობა ნარჩემაშვილმა, ასევე პარლამენტში ნაციონალური მოძრაობიდან არჩეულმა ამბროლაურის მაჟორიტარმა და ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისათვის“ თავმჯდომარე გოჩა ენუქიძემ, რომელსაც „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, ამბროლაური-ონი-ცაგერი-მესტიის ოლქში მაჟორიტარად წარადგენს. თბილისის მერის ყოფილმა მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილმა, რომელიც ვაკისა და ხონის 54 საარჩევნო ოლქშია მაჟორიტარად წარდგენილი – 20.000 ლარის შეწირულება გადარიცხა. საინტერესოა, რომ ყველა ეს შეწირულება ერთსა და იმავე დღეს – 29 ივლისს განხორციელდა.

შეგახსენებთ, რომ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60.000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა – 120.000 ლარს. კახეთის საინფორმაციო ცენტრი უკვე იუწყებოდა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ კანონით დაშვებული მაქსიმალური ოდენობის შემოწირულება შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობისგანაც“ მიიღო.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „რუსეთი საქართველოს რეგიონების უკანონო ოკუპაციას აგრძელებს“

7 აგვისტოს საქართველოში რუსეთის ფედერაციის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციისა და აგრესიის განხორციელებიდან 8 წელი შესრულდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთი აგრძელებს სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეგიონების უკანონო ოკუპაციას საერთაშორისო სამართლისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების უგულებელყოფით.

– 2008 წლის აგვისტოს ომიდან 8 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობის პრაგმატული მიდგომის შედეგად, კონფლიქტის ესკალაციის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების და ჰუმანიტარული კუთხით არსებული ვითარება კვლავ მძიმე რჩება. პრაქტიკად იქცა საოკუპაციო ხაზის მავთულხლართებითა და „საზღვრის“ აღმნიშვნელი ნიშნებით გამაგრება. ამ დესტრუქციულ ქმედებებს კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს მოქალაქეების გატაცებები და უკანონო დაკავებები.

ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი მოკლებულია საკუთარ საცხოვრებელ ადგილას უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობას მაშინ, როცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობა მუდმივი ეთნიკური დისკრიმინაციის მსხვერპლია. ამის ნათელი დასტურია მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, თავისუფალი გადაადგილებისა და კერძო საკუთრების უფლებების შელახვა, რაც ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის რისკს ქმნის ოკუპირებულ რეგიონებში. ამასთან, მოსკოვმა დაიწყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის პროცესი, რუსეთის სამხედრო, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემაში მათი ინტეგრაციის გზით, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.

რუსეთის პროვოკაციული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მტკიცედ მიუყვება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკას. საქართველო მხარს უჭერს ჟენე-



ვის საერთაშორისო მოლაპარაკებებში აქტიურ ჩართულობას, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებას, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე. საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს რაციონალურ პოლიტიკას რუსეთის ფედერაციის მიმართ და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ და პოლიტიკურ ბერკეტს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით. მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა ხელი შეუწყოს ომით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგების პროცესს და მზადაა, საქართველოს ევროპული დღის წესრიგით გახსნილი შესაძლებლობები გაუზიაროს საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრებ მოსახლეობას.

რეგიონების ოკუპაციისა და უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევების პირობებში, საქართველომ მოახერხა წარმატებისთვის მიეღწია დემოკრატიული ტრანსფორმაციისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რის წყალობითაც ის განუხრელად მიუყვება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას.

ქართული მხარე მადლიერებას გამოხატავს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას ძალისხმევის შემდგომი კონსოლიდირებისკენ, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების აღმოფხვრისა და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სამინისტრო სამძიმარს უცხადებს 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახის წევრებსა და სრულიად საქართველოს.

**ნიუსპრესი**



# ხველებას შეიძლება ხახვით შეებრძოლოთ



ხველა არ ნიშნავს, რომ ადამიანი აუცილებლად ავად არის, მაგრამ მისი მომატება ყველა შემთხვევაში სასუნთქი გზების დაავადებაზე მიუთითებს. ხველა არის ფილტვის, სასუნთქი გზების, პლევრის მწვავე და ქრონიკული ანთების სიმპტომი. გრიპს, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ბრონქიტი, ფილტვების ანთება, ფილტვების დამტვერიანება, ბრონოექსტაზიური დაავადება, ტუბერკულოზი ხველის გარეშე არ მიმდინარეობს. ხველის დროს თუ ნახველი არ გამოიყოფა, მას მშრალს ეძახიან. ხანგრძლივი ხველის გამო ზოგჯერ ავადმყოფს გულმკერდისა და მუცლის ზედა კუნთები ეჭიმება და სტკივა.

საგანგაშოა სისხლიანი ხველა, რადგან საქმე გვაქვს სერიოზულ დაავადებებთან, როგორიცაა ტუბერკულოზი, ფილტვის ინფარქტი, ბრონქოექსტაზიული დაავადების გამწვავება, ზოგჯერ კი ფილტვის ინფარქტი.

ბრონქიტი სასუნთქი გზების ანთებაა. არჩევენ მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს. მწვავე ფორმა ვითარდება გრიპის, ყივანახველის, დიფტერიის, ადენოვირუსული ინფექციის ფონზე.

ბრონქიტის დროს ავადმყოფი უნდა ერიდოს ცივ ჰაერს, ბევრ ლაპარაკს, ყოველგვარ სუნს. ოდნავმა მტვრიანმა გარემომაც შეიძლება მდგომარეობა დაამძიმოს. საჭმელი ავადმყოფს თბილი უნდა მიეცეს. ავადმყოფი ზედმეტად თბილ გარემოში არ უნდა იმყოფებოდეს, რადგან მოსალოდნელია გაოფლიანება და ხელმეორედ გაცივება.

ბრონქიტი რომ ქრონიკულში არ გადავიდეს, საჭიროა ექიმის დანიშნულების მიხედვით მკურნალობა.

თუ ადამიანს რამდენჯერმე დაემართა ბრონქიტი და სათანადოდ არ იყო ნამკურნალევი, შეიძლება ქრონიკულ ფორმაში გადავიდეს. ქრონიკული ბრონქიტის ჩამოყალიბებას მტვრიანი გარემო უწყობს ხელს, ამიტომ ეს დაავადება დიდ ქალაქებში უფრო ხშირია.

გახანგრძლივებული ხველა უყურადღებობას ვერ იტანს. უმნიშვნელო ბრონქიტიც კი შეიძლება მძიმე ფორმაში გადავიდეს. მკურნალობის დროს არ დაგავიწყდეთ ანტიალერგიული საშუალებების გამოყენება. თუ ერთხელ მაინც დაგემართათ ბრონქიტი, მკურნალობა აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ.

* * *

ბრონქიტის დროს შვებას მოგგვრით კომშის გულისა და ქერქის ნახარშის მიღება. რძე მინერალურ წყალთან ერთად, ცაცხვის ყვავილის ნაყენი.

ხველებას შეიძლება ხახვით შეებრძოლოთ. დაჭერით ხახვი, მოაყარეთ შაქარი, 1 საათის შემდეგ მიიღეთ ხახვის წვენი. თუ ხახვს ვერ იტანთ, იგივე მეთოდით მოამზადეთ ბოლოკის „წვენი“ და დღეში რამდენჯერმე მიიღეთ. ბრონქიტს უჩვეულო ერბოკვერცხიც შველის.

თხილისოდენა უმარილო კარაქი და თაფლის სანთელი გაადნეთ ტაფაზე, დაასხით კარგად გათქვეფილი კვერცხი, ოდნავ შემწვარი (რა თქმა უნდა, უმარილო) კვერცხი მიირთვით და რამდენიმე საათი თბილად იწექით, უმჯობესია არ ილაპარაკოთ.

საკმაოდ ეფექტური მეთოდია: ერთი ლიმონი ხარშეთ 10 წუთი, დარბილდება და მეტ წვენს გაუშვებს. წვენი ჩაასხით ჭიქაში, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი გლიცერინი. კარგად აურიეთ და შემდეგ ჭიქა პირამდე შეავსეთ თაფლით. თუ ძალიან გახველებთ, მაშინ დღეში სამჯერ მიიღეთ თითო ჩაის კოვზი. უმჯობესია, დილით უზმოზე, ადგომისთანავე მიიღოთ. საკმაოდ შედეგიანია ბავშვებისთვისაც. არ იწვევს კუჭ-ნაწლავის გაღიზიანებას.



ქრონიკული ბრონქიტის დროს კარგია ალოეს წვენის (15 გრ), ღორის ქონის (100 გრ), უმარილო კარაქის (100 გრ), კაკაოს (50 გრ) ნარევი. ერთ ჭიქა ცხელ რძეში გახსენით ერთი სუფრის კოვზი ნარევი. მიიღეთ დილით და საღამოს.

400 გრამ ქატოს დაასხით 1 ლიტრი წყალი, ადუღეთ 20 წუთი, შემდეგ მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში, შეგიძლიათ დაატკბოთ.

გართულებულ ბრონქიტს შველის: ლიმონი კანიანად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, გამოაცალეთ კურკები, შეურიეთ 4 თავი დაჭყლეტილი ნიორი, დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული და გაციებული წყალი. მჭიდროდ თავდახურული ჭურჭლით 5 დღის განმავლობაში ცივ და ბნელ ადგილას შეინახეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

100 გრამ გახეხილ პირშუშხას დაუმატეთ 3 ლიმონის წვენი. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი უზმოზე, რამდენიმე საათის განმავლობაში არაფერი ჭამოთ. შეგიძლიათ რამდენიმე ჩაის კოვზი მიიღოთ დილიდან შუადღემდე, ამ შემთხვევაშიც არაფერი უნდა ჭამოთ.

კაკლის ნაჭუჭს (10 ცალი) დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. ნაყენი გაფილტრეთ, შეაგრილეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

ბავშვებში თუ ბრონქიტის საწყისი სტადიაა, შეგიძლიათ თითო ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი მისცეთ.

## კანის სოკოვანი დაავადებისგან შეიძლება სახლის პირობებშიც განიკურნოთ



კანის სოკოვან დაავადებას იწვევს მიკროსკოპიული სოკო, რომელიც პარაზიტობს კანსა და ადამიანის ორგანიზმის ლორწოვან გარსზე. პათოგენური სოკოებით გამოწვეულ დაავადებათა შორის ყველაზე გავრცელებულია სხვადასხვა ფერის პიტრიაზი, ერითრაზმა, მიკროსპორია, ტრიქოფიტია და სხვა ეპიდერმოფიტია.

ხალხური მედიცინა გთავაზობთ კანის სოკოვან დაავადებასთან საბრძოლველად შემდეგ მეთოდებს:

– როდესაც სოკოვანი დაავადება ახალი დაწყებულია, ადვილად განიკურნება, თუ ადამიანი დაზიანებულ ადგილებს დაიბანს შვიტას ნაყენით დღეში 3 4 ჯერ.

* * *

– ქიშმიშის მარცვლებს ჭრიან შუაზე და იზელენ დაზიანებულ ადგილებს. დაავადება მალე ქრება.

* * *

– ქაღალდის ზეთის მისაღებად იღებენ ჩვეულებრივი რვეულის ფურცელს, ახვევენ ძაბრივით და დგამენ თეფშზე მახვილი წვერით ზემოთ, რომელსაც უკიდებენ ცეცხლს. ქაღალდი დაიფერფლება, თეფშზე კი დარჩება ყვითელი სითხე, იღებენ ამ ყვითელ სითხეს და ისვამენ დაზიანებულ ადგილებში. პროცედურებს ატარებენ დაავადების სრულ განკურნებამდე.

* * *

– იღებენ 10 გრამ იასამნის ყვავილს და 100 მლ სპირტს. აჩერებენ 10-15 დღე. მიღებული ნაყენით იწმენდენ დაზიანებულ ადგილებს. ერთ კვირაში დაავადება ქრება. სასურველია, ეს საშუალება მუდმივად იყოს საოჯახო აფთიაქში.

* * *

– ძმარს იყენებენ ფეხის თითების სოკოვანი დაავადების დროს. იბანენ ფეხებს, ტერფებს ათავსებენ ძმარში. იცვამენ სუფთა წინდებს და ისე იძინებენ. სოკო კვდება რამდენიმე პროცედურის შემდეგ.

* * *

– ფეხებს ათავსებენ გრილ წყალში, რომელშიც გახსნილია თითო სუფრის კოვზი მარილი და სოდა, შემდეგ იბანენ სუფთა წყლით.

* * *

– ფქვავენ პიტნას, ურევენ მარილში და იდებენ თითებს შორის 1 საათით. მკურნალობა გრძელდება სრულ განკურნებამდე.

* * *

– ადუღებენ ყავას, ყოფენ თითებს ნაყენში ისე, რომ ნალექი არ შეინჯღრეს. გაუხეშებული ფრჩხილები თანდათან თხელდება და ჯანმრთელდება.

* * *

– დაზიანებული ადგილები იწმინდეთ ნივრის წვენით. იგი სოკოს ზრდას აფერხებს.

* * *

– ხმელი პიტნა დანაყეთ, მარლაში შეურიეთ და შეიფრქვიეთ. თუ სოკოსგან წყლულები გაქვთ, გაიკეთეთ ფურაცილინის საფენები.

* * *

– თუ სოკო ფრჩხილს აზიანებს, გაიკეთეთ მაგარი ყავის თბილი საფენები (ნალექის გარეშე) 10 წუთის განმავლობაში.

* * *

– 10 დღის განმავლობაში გაიკეთეთ კაკლის ფოთლების ნახარშის თბილი აბაზანები.

* * *

– 1 ლიტრ თბილ წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი მარილი და ამდენივე სოდა. გაიკეთეთ აბაზანა 10 წუთის განმავლობაში 2 კვირის მანძილზე. აბაზანის შემდეგ კანის დაზიანებული უბანი გაიწმინდეთ ღვინის ძმრით.

* * *

– 100 გრამი კაკლის ფოთლები ჩაყარეთ 3 ლიტრ ადუღებულ წყალში. როცა შეგრილდება, გაიკეთეთ აბაზანები. ასე გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. ეს პროცედურა უნდა მოხდეს დღეში ერთხელ, საღამოს. ფეხი არ შეიმშრალოთ.

* * *

სოკოვანი დაავადება ფეხის ტერფებზე ეფექტურად იკურნება ნივრის კომპრესებით. შეურიეთ თანაბარი რაოდენობით ნივრის წვენი და 90% იანი სპირტი და თქვენ მიიღებთ ძლიერ ანტისეპტიკს. იგი გამოიყენება როგორც გარეგანი საშუალება მყარი ინფექციური და სოკოვანი დაავადებით დაზიანებული კანისთვის.

საღამოს დაასველეთ ხელსაწმენდი ნივრიან სპირტში, დაიდეთ დაზიანებულ ადგილზე, დააფიქსირეთ ნახვევით და გააჩერეთ დილამდე. მას შემდეგ, რაც ნახვევს მოიხსნით, ფეხებზე გადაივლეთ ღვინის ძმრიანი წყალი. გარდა ნივრის გარეგანი მკურნალობისა, სასარგებლოა 1 2 ნივრის კბილის ჭამა ყოველდღიურად.

* * *

– 15 გრამი კაკლის ფოთოლი, 15 გრამი ორკბილა, 20 გრამი სამფერი იის ფოთოლი, 10 გრამი ოროვანდის ძირები, 10 გრამი ჭინჭრის ყვავილი, 10 გრამი ფარსმანდუკი, 10 გრამი შავი მოცხარის ფოთოლი, 15 გრამი მარწყვის ფოთოლი. ამ ნაკრებს (20 გრამი) დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ 10 წუთი ნელ ცეცხლზე. ერთი ღვინის ჭიქა ნახარში მიირთვით საათში ერთხელ (დაახლოებით 30 გრამი).

* * *

– კანის სოკოვანი დაავადება ყველაზე ხშირად ჩნდება ხელის მტევნებსა და ფეხის ტერფებზე. მოადუღეთ მაგარი ყავა, ოდნავ შეაგრილეთ და ყოველდღიურად ჩაყავით მასში ხელის მტევნები და ფეხის ტერფები.

* * *

– ერთი მუჭა, დაახლოებით 100 გრამი კაკლის ფოთოლი ჩავყაროთ 3 ლიტრ ადუღებულ წყალში, როდესაც გაცივდება, გაიკეთეთ აბაზანები. ასე გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. პროცედურა ჩაიტარეთ დღეში ერთხელ, საღამოს. ფეხი არ უნდა შეიმშრალოთ.

* * *

– სოკოვანი დაავადებით დაზიანებულ კანში უნდა შევიზილოთ მანდარინის წვენი. შესანიშნავ შედეგს იძლევა ლიმნის წვენის კომპრესი ან შეზელვა.

* * *

– 15 გრამ მშრალ, დაქუცმაცებულ კაკლის ფოთოლს დაუმატეთ მზესუმზირას ზეთი. გააჩერეთ 7 დღე ღამე. შემდეგ ჩადგით მდუღარე წყლის აბაზანაში 3 საათი. გაწურეთ დოლბანდში და კვლავ ჩადგით 30 წუთი. დაუმატეთ 15 გრამი თაფლის სანთელი და ურიეთ გაციებამდე. ამ მალამოთი იზილეთ დილა საღამოს დაზიანებული ადგილი. პარალელურად მიიღეთ კაკლის ფოთლების ნახარში.



ნახარში შემდეგნაირად მზადდება: 1 სუფრის კოვზ კაკლის ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და 15 წუთი ადუღეთ. მიიღეთ 3-ჯერ თითო ჩაის ჭიქა. ასეთი მკურნალობა შველის ლიქენსაც.

* * *

**სოკოვანი დაავადების მკურნალობა ბოსტნეულის წვენებით:**

1. სტაფილოს წვენი მიიღეთ თითო ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ ჭამის წინ 1 საათით ადრე;
2. სტაფილო (7 ნაწილი), პლუს ნიახური (4 ნაწილი), პლუს ოხრახუში (2 ნაწილი), პლუს ისპანახი (3 ნაწილი);
3. სტაფილო (9 ნაწილი), პლუს ჭარხალი (3 ნაწილი), პლუს სალათა (4 ნაწილი).

## მკურნალი მცენარე



**მოცვი** – ველურად მოზარდი 15-40 სმ სიმაღლის ბუჩქია. გვხვდება ტყეში, ზოგჯერ დიდი მასივების სახით. აქვს გლუვი ღეროები. მოკლეყუნწიანი, თხელი და პრიალა ზედაპირიანი ფოთლები, რომლებიც მორიგეობითაა განლაგებული. მცენარეს შეიძლება ჰქონდეს მოვარდისფრო ყვავილები და შავ-ლურჯი ნაყოფები. მცენარე ყვავილობს მაისში, ნაყოფს იძლევა სექტემბერში.



ნაყოფი წვრილი, მაგრამ წვნიანია. მოკრეფისას საჭიროა სიფრთხილე, რომ არ დაიჭყლიტოს და არ აიზილოს ერთმანეთში.

მოცვის ნაყოფი შეიცავს მთრთილავ (შემკვრელ) ნივთიერებებს, შაქრებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს. ის ნაზი, შემკვრელი და დიეტური საშუალებაა, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკული აშლილობის დროს. ნაყოფი საჭიროების დროს მოხარშეთ. განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვებში.

სამკურნალო დანიშნულება აქვს მოცვის ფოთოლსაც, რომელიც რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტისას, რადგან ახასიათებს ინსულინის მსგავსი მოქმედება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2016, 8 აგვისტო, №186

# ტრამპი პუტინის თამაშს თამაშობს!

მაიკლ მორელი (დაბ. 1958 წელს) კადრის მზვერავია. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში (ცსს) 1980 წლიდან მსახურობდა. მორელმა 14 წელი ანალიტიკურ სამუშაოზე გაატარა.

იყო ცსს-ის უფროსის პირველი მოადგილე, ორჯერ ასრულებდა ამერიკის დაზვერვის უფროსის მოვალეობას.

გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ მორელი არა მხოლოდ უაღრესად ინფორმირებული ადამიანია, მას უნიკალური ინფორმაციის გაანალიზების უნარიც გააჩნია. მორელი მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანიას ყურადღებით აკვირდება და დეტალურად ჩერდება დონალდ ტრამპის პერსონაზე.

ცსს-ის ყოფილი შეფი აღნიშნავს, რომ ტრამპის პრორუსული განცხადებები და დითირამბები პუტინის მიმართ შემთხვევითი არ არის.

– რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ტრამპი პუტინის აგენტია. ტრამპი ნაციონალ-პოპულისტია, რომელიც ნაკლებ განათლებული ადამიანების ქვენა გრძნობებზე თამაშობს, თუმცა აშკარაა ერთი, ტრამპის პერსონა პუტინს ხელს აძლევს. რატომ? იმიტომ, რომ მისტერ დონალდი, ნებსით თუ უნებლიეთ, პუტინის თამაშს თამაშობს, – ამბობს მორელი.

ამერიკის დაზვერვის ექსშეფი აღნიშნავს, რომ რაღაც მომენტამდე ნებისმიერი ადამიანის მართვაა შესაძლებელი. საამისოდ აუცილებელია ობიექტის სრულყოფილი ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა. ამის მიხედვით იწერება სცენარი, სადაც ხსენებული ობიექტი მთავარ ან ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს.

– თავდაპირველად ეს მას უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს. საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნა, პოპულარობა, შეგრძნება იმისა, რომ შეუძლია მსოფლიო პროცესებზე გავლენის მოხდენა, – ამბობს მორელი.




ამერიკის დაზვერვის ყოფილი უფროსი ხაზს უსვამს იმას, რომ ეს მეთოდი 1939 -40 წლებში რუსეთმა წარმატებით გამოიყენა ბალტიისპირეთში. ბევრი ლატვიელი თუ ესტონელი მოღვაწე, რომლებსაც ნამდვილად არ სურდათ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, აიძულეს, რუსული თამაში ეთამაშათ. ცნობილმა ლატვიელმა მწერალმა ვილის ლაცისმა, ესტონელმა პოეტმა ბარბარუსმა, ლიტველმა ჟურნალისტმა იუსტას პალეცკისმა მხარი დაუჭირეს როგორც რუსული ბაზების განლაგებას, ასევე (1940 წელს) დამატებითი საბჭოთა საჯარისო კონტინგენტის შემოყვანას. ისინი თავიანთ ხალხს არწმუნებდნენ, რომ ამას არ მოჰყვებოდა სოვეტიზაცია ან ანექსია. ამან ბალტიისპირეთის საზოგადოების სიფხიზლე მოადუნა.

დონალდ ტრამპი უაღრესად ამბიციური პიროვნებაა. მას სურს, პირველი იყოს ყველაფერში, ბიზნესში, ხელოვნებაში, სპორტში, პოლიტიკაში. პუტინმა ეს გაითვალისწინა. ამას გარდა, გაითვალისწინა ისიც, რომ ტრამპს არც პოლიტიკის, არც სახელმწიფოს მართვისა არაფერი გაეგება. ტრამპის განცხადებები შოკის მომგვრელია. ისინი არა მხოლოდ ქსენოფობიით გამოირჩევიან, არამედ ამერიკის ინტერესებისათვის უაღრესად მავნეა.

ცხადია, რომ ტრამპის პროგრამის განხორციელებას ერთადერთი შედეგი მოჰყვება: საერთაშორისო ანტიპუტინური კოალიციის დაშლა, მუსლიმანურ სახელმწიფოებში ანტიამერიკული განწყობილებების ზრდა, მსგავსი განწყობილების აზვირთება ლათინურ ამერიკაში, უკრაინაში, ყოფილი სსრკ-ის სხვა რესპუბლკებში. ყოველივე ეს აშშ-ის საერთაშორისო იზოლაციით, მისი პოზიციების დასუსტებით დამთავრდება.

– პუტინის მიზანიც ესაა. მისტერ ტრამპი, თავისი არამდგრადი ფსიქიკიდან გამომდინარე, უნებლიეთ სწორედ პუტინის პროგრამის განხორციელებას უწყობს ხელს, – აცხადებს ამერიკის დაზვერვის ექსშეფი.

# თავდასხმა დონბასელ სეპარატისტთა ერთ-ერთ ლიდერზე



ლუგანსკში განხორციელდა თავდასხმა „ლუგანსკის რესპუბლიკის“ ერთ-ერთ ლიდერ პლოტნიცკზე. უცნობმა პირებმა მისი ავტომობილი ააფეთქეს.

– პლოტნიცკი საავადმყოფოში წაიყვანეს. აქ მას დახმარება აღმოუჩინეს და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, – იტყობინება დონბასელ სეპარატისტთა საიტი „რუსსაკაია ვესნა“.

„დონეცკ-ლუგანსკის“ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ტერაქტში უმალ უკრაინელი დივერსანტები დაადანაშაულეს. უკრაინულმა მხარემ ბრალდება კატეგორიულად უარყო.

– უკრაინას ამ აქციასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს, – განაცხადა ალექსანდრე მატუიზიანიკმა, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დონბასში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციას კურირებს.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ზორიან შკირიაკმა თავის ტელეინტერვიუში აღნიშნა, რომ „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებში“ გავლენის სფეროების გადანაწილება მიმდინარეობს და პლოტნიცკიზე თავდასხმაც ამან განაპირობა.

– სეპარატისტების რიგებში ნამდვილი შინაომია, – თვლის შკირიაკი.

უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო მიიჩნევს, რომ პლოტნიცკიზე თავდასხმა შესაძლოა იმიტაცია იყოს. პლოტნიცკი დამოუკიდებელ ფიგურას არ წარმოადგენს. მისი ლიკვიდაცია არც უკრაინულ, არც რუსულ მხარეს არ სჭირდება. უკრაინელებმა იციან, რომ პლოტნიცკის მოკვლა ამ ეტაპზე არავითარ შედეგს არ მოიტანს, რადგან სეპარატისტების მოკლული ლიდერის ადგილს ახალი დაიკავებს და მორჩა. პლოტნიცკის ლიკვიდაცია არც რუსულ მხარეს სურს, რადგანაც, აუცილებლობის შემთხვევაში, რუსებს მისი შეცვლა და ახალი ლიდერით ჩანაცვლება უპრობლემოდ შეუძლიათ.

– პლოტნიცკიზე თავდასხმის იმიტირებით მოსკოვი ცდილობს, უკრაინა მინსკის შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულოს, რათა დონბასში ჯარის დამატებითი ნაწილები შეიყვანოს. შემდეგ ამას მოჰყვება „იძულება მშვიდობისათვის“ ანუ გამეორდება ის, რაც წლების წინ ცხინვალის რეგიონში მოხდა, – ამბობს ფისენკო.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, პლოტნიცკის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ის გონზე მოვიდა და მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა. პლატნიცკიმ ტერაქტში, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკისა და უკრაინის სპეცსამსახურები დაადანაშაულა:

რუსეთიდან დონბასში კი სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მორიგი პარტია შევიდა. ამის შემდეგ სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა მარინკაზე იერიში მიიტანეს. უკრაინელებმა შეტევა მოიგერიეს. მოკლულია მტრის 4 ჯარისკაცი. უკრაინელთა რიგებში დაჭრილია სამი მეომარი, დაღუპულები არ არიან.

## რიო დე ჟანეირო: სროლები და აფეთქებები



ოლიმპიურ თამაშებზე რიოში პირველი ექსცესები მოხდა. მეტროს სადგურზე მარაკანას სტადიონის მახლობლად პოლიციასა და ბანდიტებს შორის მოხდა შეტაკება.

– ატეხილი სროლის შედეგად არავინ დაღუპულა. პოლიციამ ბანდიტების აყვანა შეძლო, – იტყობინება ტსნ.

მეორე ექსცესი ველოტრასაზე მოხდა. გაისმა აფეთქების ხმა. როგორც შემდგომში გაირკვა, აფეთქება მესანგრეებმა მოაწყვეს. მათ ველოტრასაზე იპოვეს საეჭვო საგანი, რომელიც ასაფეთქებელ მოწყობილობას წააგავდა.

## ბრაზილიის ოლიმპიადაზე პირველი ოქრო ამერიკელმა მოიპოვა



ბრაზილიის ოლიმპიადაზე პირველი ოქროს მედალი ამერიკელმა სპორტსმენმა ჯინი ტრეშერმა მოიპოვა. მან პნევმატური შაშხანით სროლაში ორი ჩინელი სპორტსმენი დაამარცხა.

– ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო, მაგრამ ჯინიმ გაიმარჯვა, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

## ჰილარის იმიტომ ვემხრობით, რომ ტრამპი არ გვინდა!

უკანასკნელმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ჰილარი კლინტონი მტკიცედ ლიდერობს. ის ტრამპს მთელი 10 პროცენტით უსწრებს. ამავე დროს, კლინტონის მომხრეთა ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ თავიანთი არჩევანი ძირითადად დონალდ ტრამპის მიმართ ანტიპათიის გამო გააკეთეს.

– ჰილარის იმიტომ ვემხრობით, რომ ტრამპი არ გვინდა, – ამბობენ ისინი.

## ჯონ ბასი: „თურქეთში პუტჩის მცდელობასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს“



აშშ-ის ელჩმა თურქეთში ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ამერიკას თურქეთში გადატრიალების მცდელობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ბასმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკა არ თანამშრომლობს არცერთ იმ რეჟიმთან, რომელიც ძალაუფლებას არაკონსტიტუციური გზით იღებს.

– ჩვენ არ გაგვაჩნდა არავითარი ინფორმაცია თურქეთში პუტჩის მომზადების თაობაზე. ასე რომ ყოფილიყო, თურქეთის მთავრობას და, კერძოდ, პრეზიდენტ ერდოღანს საქმის კურსში ჩავაყენებდით, – თქვა ბასმა.

## ბელგიაში პოლიციელებზე თავდასხმა მოხდა



ბელგიის ქალაქ შარპერუაში მაჩეტით შეიარაღებული უცნობი მამაკაცი პოლიციელებს თავს დაესხა. ამ დროს ის გაჰკიოდა: ალაჰ აკბარ! პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს.

– შეტაკებისას ორი პოლიციელი დაშავდა, თავად თავდამსხმელი კი მძიმედ დაიჭრა და ის საავადმყოფოში წაიყვანეს, –იტყობინება ბიბისი.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ტერორისტი გარდაიცვალა.

## განცხადებები


● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


## პარტიზანებმა ასადის არმიის ალყა გაარღვიეს



სირიელმა პარტიზანებმა ასადის ფორმირებებზე იერიში მიიტანეს. მათ შეძლეს ბლოკადის გარღვევა და რამუსის საარტილერიო ბაზის ტერიტორია დაიკავეს.

– რუსულმა ავიაციამ პარტიზანების პოზიციებს დაარტყა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასადის არმიამ 2015 წლის შემდეგ პირველი სერიოზული მარცხი განიცადა. რუსების გეგმა ალეპოს აღების თაობაზე ჩაიშალა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პირველ მედლამდე ცოტა დაგვაკლდა

რიოში დაიწყო ოლიმპიური თამაშები და პირველ დღეს ცოტა დაგვაკლდა მედლამდე. ძიუდოისტმა ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში უზბეკ დიორბეკ უროზბოევთან იუკოთი წააგო და საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა.



მანამდე ოლიმპიადაზე სხვა ქართველი სპორტსმენებიც გამოჩნდნენ, თუმცა მედლები არ გაუთამაშებიათ.

საქართველოს ნაკრების უმსუბუქესმა წევრმა დიდებულად დაიწყო ტურნირი და სამი მეტოქე ისე ჩამოიშორა, რომ პრობლემები არ შეჰქმნია. პირველ წრეში ჩვენებური ისვენებდა, შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით მოუგო კანადელ სერჯიო პესოას ვაზარითა და იუკოთი, ბულგარელ იანისლავ გერჩევს 2 წუთში შესრულებული სუფთა გდებით. მეოთხედფინალში კი იპონითვე გაუსწორდა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონს – იაპონელს ნაოჰისა ტაკატოს. სწორედ ტაკატოსთან მოგებამ ჩაგვისახა იმედი, რომ ოლიმპიადას მედლით დავიწყებდით, მაგრამ...

პაპინაშვილი ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრთან – ევროპის 3-გზის ჩემპიონ ბესლან მუდრანოვს შეხვდა, რომელთანაც უარყოფითი ბალანსი აქვს და რიომდე ჩატარებული 7 ჭიდაობიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული. სიტუაცია არც ბრაზილიაში შეიცვალა – მუდრანოვი გაფრთხილებით დაწინაურდა, რასაც ქართველის რისკიანი გააქტიურება მოჰყვა და მეტოქემაც კონტრილეთზე დაიჭირა.

მესამე ადგილისთვის ჩვენებური უზბეკ დიორბეკ უროზბოევთან იუკოთი დამარცხდა, რომელიც პირველივე წამებზე გაუშვა, ხოლო შემდეგ ბრძოლის სათავისოდ შემობრუნება ვეღარ მოახერხა.

პაპინაშვილის გარდა, ოლიმპიადაზე დებიუტი ჰქონდა ტყვიის მსროლელ ცოტნე მაჭავარიანს, რომელმაც პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში 574 ქულა დააგროვა და 53 მონაწილეს შორის 29-ე ადგილი დაიკავა, რაც ფინალის საგზურის გასანაღდებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. კვალიფიკაციის გადასალახად მაჭავარიანს 6 ქულა დააკლდა.

რიოში მოსინჯა ძალები მოცურავე ირაკლი რევიშვილმაც, რომელიც საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას რიოში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შეუერთდა დოპინგის გამო დისკვალიფიცირებული ბოლქვაძის ნაცვლად. რევიშვილმა თავისუფალი ყაიდით ცურვაში 400-მეტრიანი დისტანცია 4.00.56 წუთში დაფარა და 50 მონაწილეს შორის 45-ე ადგილზე გავიდა.

სულ პირველნი კი ქართველთაგან ოლიმპიურ შეჯიბრებაში მშვილდოსნები ჩაებნენ. სარეიტინგო რაუნდის ინდივიდუალურ ჩათვლაში ხათუნა ნარიმანიძე 34-ე იყო, ქრისტინე ესებუა – 45-ე, ხოლო იულია ლობჟანიძე – 57-ე. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მე-12 შედეგი აჩვენა, რაც ბოლო გამსვლელი ადგილი აღმოჩნდა გუნდურ ჩათვლაში და პლეი ოფში მეხუთეადგილოსან მექსიკის გუნდს დაუპირისპირდება.

# გიორგი ასანიძე: „მაქსიმალურ შედეგს ვაჩვენებთ“

რიოში საქართველოს ძალოსნობის ნაკრები შეიკრა. დელეგაციას შეუერთდნენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე, ლაშა ტალახაძე და ირაკლი თურმანიძე.

ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი ასანიძე სამწვრთნელო პროცესში მშვიდი, გაწონასწორებულია. არ უყვარს ფორსირებულად ვარჯიში და ის ყოველთვის მაქსიმუმს იღებს სპორტსმენისგან.

ძალოსნების თემა ძალიან საინტერესოა, რადგან ერთ-ერთი იმედი სწორედ ტალახაძეა.

რა ხდება რიოში და როგორი განწყობაა გუნდში, ამაზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი საუბრობს.

**გიორგი ასანიძე:**

– გრძელი გზა იყო. ცოტა დამღლელი. ამის გამო არ წავედი გახსნაზე, დავისვენე. ჩვენი ნაკრების ნაწილი გახსნას დაესწრო. ოლიმპიადაზე ვართ და ყველა სპორტსმენი მაქსიმალურად კონცენტრირებული და დასვენებული უნდა იყოს. ოლიმპიადაზე ოლიმპიური განწყობა უნდა იყოს.

***– როგორი იყო ოლიმპიადის სტარტი ქართული დელეგაციისთვის?***

– ძიუდოისტებმა კარგად დაიწყეს. ცოტა დაგვაკლდა მედლამდე. თუმცა, ცუდია, რომ უმედლოდ დავიწყეთ და კარგია, რომ თუნდაც ამ სახეობაში, მედლის კანდიდატები კიდევ არიან.

***– როგორი განწყობაა გუნდში?***

– ვერიდებით ზედმეტ აქტიურობას. სპორტსმენი არ უნდა გადაიღალოს. ჩვენ ჩვენი განრიგი გვაქვს და ამ განრიგს მივყვებით. ოლიმპიურ სოფელში სიმშვიდეა და სიმშვიდეა ჩვენს ნაკრებშიც. ყველა ხვდება, რომ ოლიმპიადა განსხვავებული ტურნირია. აქ გამოსვლის შანსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენო.

***– იყავით დარბაზში სადაც გაიმართება შეჯიბრი?***

– ჯერ არ მინახია. სად გვეჩქარება? დავისვენებთ, შევალთ, ვივარჯიშებთ. დარბაზი დარბაზია. ოლიმპიადას სპორტსმენები იგებენ.

***– ლაშა ტალახაძე ფავორიტის სტატუსით არის რიოში. მისგან მხოლოდ ოქროს ელიან.***

– ჟურნალისტი წერს იმას, რისი დაწერაც უნდა. ლაშაზე წერენ, რომ ის ფავორიტია. უკეთესია, თუ ოლიმპიადისთვის მზადება ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე მიდის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლაშამ ეს სტატუსი თავისი სტაბილურობით, კარგი შედეგებით დაიმსახურა.

***– გუნდშია დებიუტანტიც... ახალგაზრდა გიორგი ჩხეიძე. მასზე რას გვეტყვით?***

– აკლიმატიზაციის გავლის დროს, მისთვის პირველი 3 დღე იყო რთული. ავთო გახოკიძესთან ერთად ივარჯიშა, ყველაფერი გაიარა. გიორგი მოხვდა ბ ჯგუფში, რაც ცოტა მოულოდნელი იყო, მაგრამ აქ კონკურენცია იზრდება და ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. ჩვენი მიზანი არ იცვლება – ყველა წონაში შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა ავიღოთ.



# რუნის სახლის გაძარცვა ცადეს

ინგლისური მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოლდ ტრაფორდზე გამართული უეინ რუნის საქველმოქმედო მატჩის დროს ინგლისის ნაკრებისა და იუნაიტედის კაპიტნის სახლში შეღწევა დამნაშავემ ცადა.

მძარცველმა ისარგებლა იმით, რომ სახლში არავინ იქნებოდა, რადგან, მოგეხსენებათ, აღნიშნულ მატჩში სტადიონზე რუნის მთელი ოჯახი ქომაგობდა. როგორც გამოცემა წერს, მძარცველი ჩეშირის საგრაფოში მდებარე 30 წლის ფორვარდის სახლში შესვლა ცადეს, თუმცა, უსაფრთხოების სისტემამ მათ ამის საშუალება არ მისცა.



სიგნალიზაციის ჩართვიდან რამდენიმე წუთში სახლში 3 მანქანით შეიარაღებული პოლიციელები, თვითმფრინავი და კინოლოგთა ჯგუფი მოვიდნენ. ვიდეოკამერის ჩანაწერებმა დააფიქსირა ნიღბიანი მამაკაცი, რომელიც კარში შესვლას ცდილობდა. პოლიციის მოსვლის შემდეგ, მძარცველმა დააგდო ხელჩანთა და ადგილზე მიიმალა. ჩანთაში პოლიციელებმა სპეციალური საიზოლაციო ლენტი და ელექტრონული სადენები აღმოაჩინეს.

# ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „ტიტულების მოგებას ვიწყებ“

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა პრემიერ ლიგის ჩემპიონ ლესტერთან დაპირისპირებასა და მანჩესტერულ კარიერაში საკუთარ, პირველ ოქროს გამოწვევაზე ისაუბრა.

შვედი ფორვარდი „უემბლიზე“ საკლუბო სადებიუტო მატჩს ჩაატარებს. ზლატანი საკუთარ შესაძლებლობებსა და გუნდთან ერთად დასახული მიზნების ასრულებაში დარწმუნებულია.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი:**

– მჯერა, ეს პირველი ტიტულის მატჩია. ერთი თამაში, ერთი ტიტული. აქ დროის გასაფლანგად არ მოვსულვარ. მანჩესტერში მოსაგებად მოვედი. ეს ტიტულისთვის პირველი მატჩია და ამ თასს ჩვენ სახლში წავიღებთ. ჩემთვის, ყოველი ტიტული სერიოზულია. 30-მდე თასი მაქვს, მაგრამ მსურს მეტი მქონდეს. სანამ ყველაფერს არ მოვიგებ, მანამ კმაყოფილი არ ვიქნები. ეს არის, რისთვისაც ჩვენ ვთამაშობთ და მე გამარჯვებისთვის ვთამაშობ. სადაც მივედი, ყველგან გამარჯვებისთვის თამაშობდნენ. იუნაიტედში დროის დასაკარგავად არ მოვსულვარ. მჯერა, რომ კლუბს მსგავსი ფილოსოფია აქვს, განსაკუთრებით „მანჩესტერ იუნაიტედს“. სწორედ ეს გზა არსებობს. პირველი მატჩი, ერთი თამაში და ერთი ტიტული. ინგლისის წინააღმდეგ შვედეთის ნაკრების რიგებში „უემბლიზე“ ვთამაშობდი და ეს ნამდვილად უზარმაზარი სტადიონია, ასე რომ, მატჩს მოუთმენლად ველი.





# ზინედინ ზიდანი ნახევარდაცვის გაძლიერებას გეგმავს

გავრცელებული ინფორმაციით, იულიან დრაქსლერის აგენტი მადრიდში იმყოფება და ფეხბურთელის წარმომადგენელი მადრიდის რეალის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად ემზადება.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ კლუბის პრეზიდენტმა წინადადების ფორმირება უკვე დაასრულა. არ არის გამორიცხული, გერმანელ ფეხბურთელთან მომდევნო 2-3 დღეში შედგეს მოლაპარაკება.

ფრანგი სპეციალისტი მოდენის შუაგულის გამყარებას კიდევ უფრო ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ირიცხებიან კაზემირო, მოდრიჩი და კროოსი (ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები), ზიდანს ნემანია მატიჩის დამატებაც სურს.

ზიზუ თვლის, რომ გუნდში ჯანსაღი კონკურენცია ფეხბურთელებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის საშუალებას მისცემს. ზიდანი სერბ ნახევარმცველს უახლოეს პერიოდში დაუკავშირდება და შეხვედრას დაუთქვამს.

# შედეგები

**6 აგვისტო**

**ოლიმპიადა**

**ფეხბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| კანადა-ზიმბაბვე | 3:1 |
| აშშ-საფრანგეთი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| თურქეთი-საფრანგეთი | 39:55 |
| ჩინეთი-კანადა | 68:90 |
| ბრაზილია-ავსტრალია | 66:84 |
| ბელარუსი-იაპონია | 73:77 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-საფრანგეთი | 87:66 |
| ჩინეთი-აშშ | 62:119 |
| ვენესუელა-სერბეთი | 62:86 |

**წყალბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-უნგრეთი | 13:13 |
| აშშ-ხორვატია | 5;6 |
| ესპანეთი-იტალია | 8:9 |
| საბერძნეთი-იაპონია | 8:7 |
| საფრანგეთი-ჩერნოგორია | 4:7 |
| ბრაზილია-ავსტრალია | 8:7 |

**ფრენბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| იაპონია-ს.კორეა | 1:3 |
| ჩინეთი-ჰოლანდია | 2:3 |
| ბრაზილია-კამერუნი | 3:0 |
| აშშ-პუერტო რიკო | 3:0 |
| რუსეთი-არგენტინა | 3:0 |
| სერბეთი-იტალია | 3:0 |

**ხელბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-ბრაზილია | 28:31 |
| ჰოლანდია-საფრანგეთი | 14:18 |
| რუსეთი-ს.კორეა | 30:25 |
| ჩერნოგორია-ესპანეთი | 19:25 |
| რუმინეთი-ანგოლა | 19:23 |
| შვედეთი-არგენტინა | 31:21 |

**ჩოგბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| კონიუხი-ბეკი | 7:6,6:1 |
| სტრიცოვა-ვიკმაიერი | 7:6,6:1 |
| კრუნიჩი-მლადენოვიჩი | 1:6,4:6 |
| კიზი-კოვინიჩი | 6:3,6:3 |
| ერანი-ბერტენსი | 4:6,6:4,6:3 |
| ჟაბერი-კასატკინა | 6:3,6:7,1:6 |
| ივანოვიჩი-სუარეს ნავარო | 6:2,1:6,2:6 |
| ბაჩინსკი-ჩჟანი | 7:6,4:6,6:7 |
| უოტსონი-პენი | 6:4,6:7,6:3 |
| ჩჟინი-რადვანსკა | 6:4,7:5 |
| ნიკულესკუ-როიგი | 6:2,6:3 |
| შაფარჟოვა-კნაპი | 4:6,6:1,6:1 |
| პეტკოვიჩი-სვიტოლინა | 6:2,1:6,3:6 |
| ლინეტი-პავლუჩენკოვა | 0:6,3:6 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| ვილონასი-ნიშიკორი | 2:6,4:6 |
| ბარანკისი-მილმანი | 0:6,0:6 |
| დიმიტროვი-ჩილიჩი | 1:6,4:6 |
| ტომპსონი-ედმუნდი | 4:6,2:6 |
| დანიელი-სოკი | 6:4,6:4 |
| ჟაზირი-ცონგა | 6:4,5:7,3:6 |
| ელიაში-კოკინაკისი | 7:6,7:6 |
| სეპი-მარჩენკო | 6:3,3:6,7:6 |
| კუდლა-მარტინი | 0:6,3:6 |
| ბეიკერი-სუგიტა | 7:5,5:7,4:6 |
| ჩორიჩი-სიმონი | 4:6,6:7 |
| კინგი-ჯონსონი | 3:6,2:6 |
| დონსკოი-შტრუფი | 6:3,6:4 |

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-კარდიფი | 0:0 |
| ბლექბერნი-ნორვიჩი | 1:4 |
| ბრისტოლი-უიგანი | 2:1 |
| დერბი-ბრაიტონი | 0:0 |
| იფსვიჩი-ბარნსლი | 4:2 |
| ნოტინგემი-ბარტონი | 4:3 |
| რედინგი-პრესტონი | 1:0 |
| როტერჰემი-ვულვზი | 2:2 |
| ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 2:1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-უნიონი | 2:1 |
| დინამო-ნიურნბერგი | 1:1 |
| ზანდჰაუზენი-ფორტუნა | 2:2 |

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-იგლზი | 3:0 |
| ტვენტე-ექსელსიორი | 1:2 |
| უტრეხტი-პსვ | 1:2 |
| ტილბურგი-ვიტესი | 1:4 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| უფა-ზენიტი | 0:0 |
| არსენალი-რუბინი | 1:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-შტრუმი | 0:2 |
| ადმირა-ალტახი | 1:2 |
| ვოლფსბერგერი-რიდი | 1:0 |
| ზალცბურგი-სტ.პოლენი | 2:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ნეცეჩა-ლენჩნა | 2:1 |
| შლიონსკი-ლეხია | 0:0 |
| კორონა-ლეხი | 4:1 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ვიბორგი | 0:0 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| მიოლდე-ბოდო გლიმტი | 3:2 |
| ლილესტრიომი-რუსენბორგი | 3:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ქართველ კალათბურთელთა ორი განსხვავებული ტაიმი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მართებს მწვრთნელს გუნდის დალაგება. უფრო ზუსტად, ამგვარ მატჩებში დანახული ხარვეზების აღმოფხვრაა მთავარი და ამ მხრივ, ილიას ზუროსისთვისა და მისი სამწვრთნელი შტაბისთვის ძალიან სასარგებლო იყო აღნიშნული შეხვედრა. ცა და დედამიწასავით განსხვავებულად ნათამაშები ტაიმები კარგი გაკვეთილია მწვრთნელებისთვის, რათა დაინახონ ჩვენი გუნდის პლუს-მინუსები და ოფიციალურ მატჩებამდე დარჩენილ 7 მატჩში მაქსიმალურად შეეცადონ მათ აღმოფხვრას.

განსაკუთრებით თვალში საცემი იყო სათადარიგოთა შედეგი. თუ ჩვენმა ძირითად ხუთეულმა ქულებით მეტოქეს აჯობა, სათადარიგოებმა მხოლოდ 9 ქულა ჩააგდეს, მეტოქეს 51-ს წილ.

კიდევ ერთ-ერთი კომპონენტი, რომლის მაქსიმალურად განეიტრალებაც ქართველებს დასჭირდებათ, შორი სროლებია. რუსებმა 14 სამქულიანი ჩაგვიგდეს და ძირითადი კომპონენტიც, რის ხარჯზეც მოგვიგეს, ესაა. საქართველოს ნაკრებს 14 სამქულიანი იშვიათად თუ მიუღია.

რუსეთს ქართველები კიდევ შეხვდებიან – ამჯერად თბილისში მერიის ტურნირზე, 14 აგვისტოს, სადაც უკრაინისა და ჰოლანდიის ნაკრებებიც მიიღებენ მონაწილეობას.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ძაღლებიანი ავტომობილი სუპერმარკეტში შევიდა

ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის ქალაქ უეინში ავტომობილი, რომელშიც ორი ძაღლი იმყოფებოდა, სუპერმარკეტის შენობას შეეჯახა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.



ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ხანდაზმულმა ქალმა თავისი ძაღლები მაღაზიის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე გაჩერებულ დაქოქილ ავტომობილში დატოვა. ერთ-ერთი ძაღლი უკანა სავარძლიდან წინაზე გადავიდა და, როგორც ჩანს, ამ დროს შემთხვევით ხელის მუხრუჭი გამორთო.

ავარიის შედეგად დაზიანებები უმნიშვნელო აღმოჩნდა, რის გამოც სუპერმარკეტის წარმომადგენლებს მოხუცი ქალისთვის პრეტენზიები არ წაუყენებიათ. ამ შემთხვევის შედეგად არც ცხოველები და არც ადამიანები არ დაზიანებულან.

## მამაკაცებმა ქალების პაროდია გააკეთეს



კანადის ქალაქ ტორონტოს ერთ-ერთი საზოგადოების მონაწილეებმა ფეისბუქში მოაგროვეს იმ ფოტოსურათების პაროდიები, რომლებსაც, მათი აზრით, ქალები ყველაზე ხშირად იღებენ ინსტაგრამისთვის.

პაროდიის ნაწილი საზოგადოების ორგანიზატორებმა და მათმა ნაცნობებმა შეასრულეს, ხოლო სხვა კადრები, რომლებიც ამ თემას მიესადაგა, ინტერნეტში მოიძიეს.

ფეისბუქში საზოგადოების გვერდს თითქმის 387 ათასი ხელმომწერი ჰყავს.

## ჯო ბაიდენმა გეები დააქორწინა

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ორი მამაკაცის დაქორწინების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. ორივე



თეთრი სახლის თანამშრომელია. ეს ინფორმაცია ამერიკელმა პოლიტიკოსმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე განათავსა.

— მეამაყება, რომ ბრაიანი და ჯო ჩემს სახლში დავაქორწინე. მიხარია, როდესაც თეთრი სახლის ორ დიდი ხნის თანამშრომელსა და შესანიშნავ ყმაწვილებს ბედნიერებს ვხედავ, — დაწერა ბაიდენმა.

ვიცეპრეზიდენტის პოსტმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ტვიტერში. ამ მომენტისთვის ბაიდენის შეტყობინებას 100 ათასზე მეტი მოწონება და 32 ათასზე მეტი გაზიარება აქვს მიღებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 8 აგვისტოსთვის



**ვერძი** — დღეს სასიცოცხლო პოტენციალი გაძლიერებას იწყებს. ეს მოვლენა განსაკუთრებით დადებითად აისახება ქალების შრომის ნაყოფიერებაზე. თქვენი ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩება. **კურო** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ერიდეთ აგრესიულ ადამიანებთან ურთიერთობას. იყავით წინდახედული და გარს მხოლოდ კეთილსაიმედო ხალხი შემოიკრიბეთ. **ტყუპები** — ახალი საქმის დასაწყებად არაკეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი აქტივობა უსარგებლო იქნება. **კირჩხიბი** — საკმაოდ მძიმე დღეა. თქვენი არაკეთილმოსურნეები გააქტიურდებიან და შეეცდებიან, ზიანი მოგაყენონ. **ლომი** — წარმატება გელით ნებისმიერ სფეროში. კომპანიის სული და გული ხართ. **ქალწული** — ახალი საქმის დაწყება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. **სასწორი** — როგორც პირად, ისე სამსახურებრივ სფეროში პრობლემები გაქვთ. ნუ იაქტიურებთ. დღეს კარგი იქნება დასვენება ბუნებაში. **ღრიანკალი** — მომავალი თამამად დაგეგმეთ. დროებით გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **მშვილდოსანი** — იყავით თავშეკავებული ყველგან და საღად იაზროვნეთ. მატერიალური მდგომარეობის მხრივ სასაყვედურო არაფერი გაქვთ. **თხის რქა** — დაუფიქრებელი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. ერიდეთ შორს გამგზავრებასა და ხალხმრავალ ადგილებს. **მერწყული** — იაქტიურეთ. კარგი იქნება, თუ მივიწყებულ კავშირებს აღადგენთ. მატერიალურად არ გიჭირთ. **თევზები** — კეთილისმყოფელი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად, ასევე ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ბრიტანელმა ქალმა 30 წლის განმავლობაში პირველად იბანავა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულის მცხოვრებმა ქალბატონმა ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად იბანავა. ქალმა წყლის შიშის დაძლევა ჰიპნოზის წყალობით შეძლო.



დონა მაკმოჰანს წყლის ფობია იმ ინციდენტის შემდეგ დაეწყო, რომელიც მას ხუთი წლის ასაკში შეემთხვა, რომლის დეტალების გამხელისგან ის თავს იკავებს. მას შემდეგ დონა არათუ წყალში ჩასვლას გაურბოდა, შხაპის მიღებისაც კი ეშინოდა, თავს არიდებდა პლაჟებსა და აუზებზე სიარულს. 30 წლის განმავლობაში ის რამდენიმე საათს ანდომებდა იმ პროცედურების ჩატარებას, რომლის დახმარებითაც ის საკუთარი სხეულის ცალკეულ ნაწილებს რიგრიგობით ისუფთავებდა.

მაკმოჰანმა თავისი ფობიის დაძლევა 35 წლის ასაკში ჰიპნოზის სპეციალისტ რობერტ ჰაისის დახმარებით მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ის ქალს სხვადასხვა ისეთი ადგილის რამდენიმესაათიანი მონახულების შემდეგ დაეხმარა, რომლებიც წყლით იყო გარემოცული.

— როგორც იქნა, უკვე შემიძლია შხაპის მიღება, ისე, როგორც ამას ჩვეულებრივი ადამიანები აკეთებენ, — განაცხადა ორი შვილის დედამ დონა მაკმოჰანმა.

## ტყუპებს პასპორტში ერთნაირი სურათის გამო პრობლემები შეექმნათ

მოსკოვის საიმიგრაციო სამსახურმა ქვეყნიდან გასვლის უფლება არ მისცა სამიდან ორ ტყუპ ძმას იმის გამო, რომ მესაზღვრეებმა პასპორტებში ჩაკრული მათი სურათები ერთნაირად ჩათვალეს.



პანჩენკოების ოჯახი, რომლებსაც ხუთი შვილი ჰყავთ, მათ შორის სამი ტყუპი ბიჭი, ტაილანდში დასასვენებლად გამგზავრებას აპირებდა. საზღვარზე ტყუპებს პრობლემები შეექმნათ: საიმიგრაციო სამსახურში განუცხადეს, რომ ყველა პასპორტზე ერთი და იგივე ფოტოსურათი იყო ჩაკრული. ამის შედეგად იანი და მაკარი ქვეყნიდან არ გაუშვეს და ზღვაზე დასასვენებლად მხოლოდ მათი ძმა გაფრინდა.

ავსტრალიის ზოოპარკში ორანგუტანმა ბრეიკ-დანსი შეასრულა

ავსტრალიაში მელბურნის ზოოპარკის ბინადარმა ორანგუტანმა დამთვალიერებლების თვალწინ რამდენიმე ისეთი მოძრაობა შეასრულა, რომელიც ძალიან ჰგავდა ბრეიკ-დანსს.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ ვებგვერდზე განათავსა ადგილობრივმა ტელეკომპანია 7 ნიუსმა.

აღნიშნული ვიდეორგოლი 29 ივლისს იქნა ჩატვირთული და ის უკვე 925 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

## ბრიტანელი კიბოსგან განიკურნა და ლატარიაში 80 მილიონი მოიგო

დიდი ბრიტანეთის ქალაქ მონმუტის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა, რომლის დროსაც სიმსივნე ამოჰკვეთეს, 61 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი (დაახლოებით 82 მილიონი დოლარი) მოიგო ლატარიაში. ქალმა ჯეკპოტი ქირურგიული ჩარევიდან ორი დღის შემდეგ მოხსნა.




გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 53 წლის სონია დევისს ოპერაცია აშშ-ში გაუკეთეს. მას შემდეგ, როდესაც ქალმა შეიტყო, რომ პროცედურამ წარმატებით ჩაიარა, მან თავისი ქალიშვილი სტაფანი, რომელიც დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა, დაარწმუნა, ლატარია ევრომილიონის ბილეთი შეეძინა.

ლატარიის გათამაშების შედეგების გამოცხადებისას 19 წლის სტეფანიმ შეიტყო, რომ ჯეკპოტი მოხსნეს. მოგებული თანხით სტეფანი სახლში სარემონტო სამუშაოების დასრულებას გეგმავს, მის დას კორტნის მანქანის ყიდვა სურს, ხოლო დედას — სადგომი ავტომობილისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გერმანელების ფლეშმობი დამსვენებლებს ტერაქტი ეგონათ

კატალონიის კურორტ პლატია დ'აროზე (ჟირონას პროვინცია) გერმანელი ტურისტების ფლეშმობი დამსვენებლებმა ტერაქტად მიიჩნიეს.



ხუთმა ახალგაზრდა გერმანელმა, რომლებიც შავი ფერის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი, გადაწყვიტეს, ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს პაპარაცები იყვნენ და ცნობილ პიროვნებას მისდევდნენ. ისინი ადგილობრივი დროით 21:00 საათზე ხალხმრავალ სანაპიროზე ყვირილითა და ხელების ქნევით გამოცვივდნენ. იქ მყოფმა ტურისტებმა მათი ეს ქმედება არასწორად გაიგეს და გადაწყვიტეს, რომ ქალაქზე ტერორისტების თავდასხმა განხორციელდა.

მაშინვე ატყდა პანიკა, რესტორნებში ხალხი მაგიდების ქვეშ იმალებოდა, სხვები ცდილობდნენ, საკუთარი თავისთვის გაქცევით ეშველათ. პოლიციაში შედიოდა ზარები სროლის შესახებ. ამ ყოველივეს შედეგად 11-მა ადამიანმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო, ხოლო ერთ მამაკაცს გულის შეტევა დაემართა.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ხუთი 20-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდა დააკავეს. ქმედებისთვის, რომელმაც პანიკის პროვოცირება მოახდინა, მათ სამი თვიდან ერთ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ფლეშმობი ახალგაზრდა გერმანელი გოგონების მიერ იყო ორგანიზებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. სასვენი ნიშანი; 2. ჩვენებითი ნაწილაკი; 3. ვაზების მწკრივი ვენახში; 4. სასროლეთი; 5. ვივიენ ...; 6. მარტი (ძველქართულად); 7. ქართული გაზეთი; 8. სანელებელი; 9. ... გაფრინდაშვილი; 10. სასიმინდე; 11. „ქალაქი ...; 12. ... კრუზი; 13. შლამის თევზი; 14. რომის პაპის გვირგვინი; 15. მეხუთე ნოტი; 16. ... ჩიბურდანიძე; 17. გარეული ხარი; 18. ბატკანი ერთ წლამდე; 19. იუპიტერის თანამგზავრი; 20. თავზე თმაგაცვენილი ადამიანი; 21. სოფელი რაჭაში; 22. აღლუმი; 23. მთიანეთი აზიაში; 24. ვაზის წყვილმტევნიანი რქა; 25. ამონი ანუ...; 26. სატურნის თანამგზავრი; 27. ჩანთოსანი დათვი; 28. იმამის ხელისუფლება; 29. ქალაქი ჩეხეთში; 30. „...-პარი“; 31. სია, აღწერა; 32. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 33. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 34. ბალახოვანი მცენარე.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აბრაგი; 2. აქციზი; 3. ჭიანური; 4. მექსიკა; 5. ქლუხორი; 7. კამბუზი; 11. წრუტო; 12. ნიბლია; 13. ჩარტერი; 14. სფინქსი; 15. გინესი; 17. ბოტასი; 13. ვაგა.

**თარაზულად:** 5. ქულბაქი; 6. მატიანე; 8. ზაქი; 9. ტუსკი; 10. ოსტიტი; 11. წუღა; 13. ჩეჭიფეში; 14. სეული; 16. აბული; 18. შატლი; 20. სულგუნი; 21. სამსუნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. ამური; 3. მუაში; 5. ფირუზი; 6. სკვიმნია; 9. საკრამენტო; 10. ლუფტჰანზა; 11. კაპადოკია; 14. მეი; 16. კათეტი; 18. კერი.

**თარაზულად:** 1. ჭილაძე; 4. რეფლექსი; 7. მუთაქა; 8. შერბური; 12. აკაჟუ; 13. ამქარი; 15. სტატია; 17. მეი; 19. საკანდელიძე; 20. გორდა; 21. ჭიბონი.

# თენგიზ არჩვაძეს 84 წელი შეუსრულდა

ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული მსახიობი თენგიზ არჩვაძე იუბილარია. მას 84 წელი შეუსრულდა. მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში მუშაობს და მონაწილეობს დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ აღდგენილ სპექტაკლში „ასი წლის შემდეგ", რომელიც თავის დროზე თემურ ჩხეიძემ დადგა.

თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ იუბილარი მსახიობი სამუშაოდ მარჯანიშვილის თეატრში მივიდა, მოგვიანებით თეატრის დასის ნაწილს რუსთავში გაჰყვა, თუმცა ისევ მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა.

თეატრალური კარიერის დასაწყისს მსახიობი ასე იხსენებს:

– ნორჩ მსახიობთა თეატრში ჩემი პირველი როლი „აჩაკუნე" იყო პიესაში „პატარა მეგობრები". ზაფხულობით პედაგოგებს ჩვენი დრამწრის წევრები ქვიშხეთში, ბერიას ბანაკში მიჰყავდათ. ეს ერთი დიდი ოჯახი იყო.

პიონერთა სასახლეს უკავშირდება ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები. სწორედ დრამწრე იყო იმის მიზეზი, რომ მეცხრეკლასელი სკოლიდან ქუჩაში გამიძახეს. ჩემს გატაცებას არასერიოზულად უყურებდნენ და, გაკვეთილებს რომ ვაცდენდი, გამოუსწორებელ ყალთაბანდად მთვლიდნენ. მერე, იცოცხლეთ, მსახიობის გზას რომ სერიოზულად გავყევი, ვინ იცის, რამდენი სპექტაკლის შემდეგ დამხვედრია თეატრის გამოსასვლელთან ჩემი სკოლის დირექტორი, თვალცრემლიანი და გახარებული. სხვათა შორის, ჯერ ინსტიტუტში მომცეს დიპლომი, სკოლის ატესტატი კი მხოლოდ ამის შემდეგ მიბოძეს.

პიონერთა სასახლის დრამწრის წყალობით მხატვრობას მსახიობობა ვარჩიე და უგამოცდოდ ჩავირიცხე თეატრალურ ინსტიტუტში. პირველ კურსზე ქალბატონი ლილი იოსელიანი გვასწავლიდა, შემდეგ – აკაკი ვასაძე და ბოლო კურსზე – აკაკი ხორავა. აკაკი ხორავასთან ერთად სცენაზეც კი ვითამაშე ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილ პიესაში „ღალატი".



საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ხატვითაც იყო გატაცებული:

– ხატვა ჩემი სერიოზული გატაცება იყო. ვხატავდი ცარცით, ნახშირით, რაც მომხვდებოდა ხელთ, სადაც მომიწევდა, ყველგან და ყველაფერზე. ხატვის სიყვარული არასოდეს გამნელებია. ავიკიდებდი მოლბერტს და ვხატავდი წყნეთის, უძოს, კოჯრის პეიზაჟებს. ხატვა ახლაც მიყვარს, მაგრამ ერთხელ, სამწუხაროდ, ცუდ ხასიათზე მყოფმა, ყველა ჩემი ნახატი დავწვი, ისევე, როგორც გოგოლმა – „მკვდარი სულების" შემდგომი ნაწილები. პიონერთა სასახლეშიც ხატვის წრეზე დავდიოდი.

იუბილარი მსახიობისთვის არ არსებობს კარგი და ცუდი როლი, თუმცა მას როლის შესრულებაზე უარი ბევრი რამის გამო უთქვამს, მაგრამ არასოდეს – ფინანსური ინტერესების გამო:

– როლზე უარი ბევრი რამის გამო მითქვამს, მაგრამ ფინანსური ინტერესების გამო – არასოდეს. უარს ვამბობდი იმ შემთხვევაში, როცა ნაწარმოები ან გმირი არ მომწონდა. უარყოფითი გმირიც კი გამოკვეთილი, სრულყოფილი უნდა იყოს და ესთეტიკური ჩარჩოებიდან მთლად ამოვარდნილი არ უნდა ჩანდეს.

ყველაფერს ობიექტურ მიზეზებს ვერ დააბრალებ. სუბიექტურმა ფაქტორებმა, საკუთარმა თავმა უფრო მეტად შემიშალა ხელი. რას იზამ?! ასეთი ყოფილა ცხოვრება!

# „ხერთვისის" ხელმძღვანელი სარეპეტიციო დარბაზში მოკლეს

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ხერთვისის" ხელმძღვანელი, 30 წლის ვანო წიკლაური სარეპეტიციო დარბაზში მოკლეს. შემთხვევა გლდანში, ქერჩის ქუჩაზე მოხდა. მკვლელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ისროლა. გარდაცვლილს ჭრილობები თავსა და ხელში აქვს.



ინფორმაცია ამის შესახებ ანსამბლ „გორდელას" ერთ-ერთმა წევრმა თამარ ალადაშვილმა გაავრცელა:

– ვანო წიკლაური, ანსამბლ „ხერთვისის" ხელმძღვანელი... დღეს სარეპეტიციო დარბაზში მოკლეს...

არ ვიცი, რა ვთქვა, სიტყვები არ მაქვს...

ასე ვინ და რატომ გაგიმეტა...

დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათის შემდეგ სამართალდამცველებმა მკვლელობა გახსნეს და დამნაშავე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეჭვმიტანილი ხაშურის რაიონში დააკავა. საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

ქორეოგრაფი ქერჩის ქუჩაზე მისსავე სტუდიაში მოკლული მეგობრებმა და ახლობლებმა ნახეს. ისინი მკვლელობის მოტივად ეჭვიანობას ასახელებენ. მათი განცხადებით, ვანო წიკლაური მისივე სტუდიის მოსწავლის მშობელმა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა. მათი თქმით, ვანო წიკლაურის გადაადგილებასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, მკვლელი ინფორმირებული იყო. ახლობლები აცხადებენ, რომ მოკლულს ტყვია ზურგიდან აქვს მოხვედრილი, მათ შორის, თავი არეში. მეზობლების თქმით, მოკლულს, სავარაუდოდ, სანადირო თოფიდან ესროლეს.

მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შსს-მ სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს, გლდანი-ნაძალადევის, შიდა ქართლის სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1979 წელს დაბადებული ი.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ხაშურის რაიონში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 აგვისტოს თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, პირადი მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე, 1985 წელს დაბადებულ ვ.წ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე, ხაშურის რაიონში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.



# ანა დოიაშვილი ბერკლის სტუდენტი გახდა

მომღერალი ანა დოიაშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ანა ბანას" მუსიკალური პროექტიდან გაიცნო, ბერკლის სტუდენტი გახდა. რეჟისორ დავით დოიაშვილის ქალიშვილმა ყველა სირთულე წარმატებით დაძლია და იანვრიდან მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება.

ინფორმაცია ამის შესახებ ანა დოიაშვილმა თავად გაავრცელა:

– ბევრი სირთულის მიუხედავად, დღეს ბერკლის სტუდენტი გავხდი! იანვრიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას! ყველას ძალიან, ძალიან დიდი მადლობა!



# ვანესა მეიმ გრანდიოზული შოუ წარმოადგინა

შეკვეთილში ახლადგახსნილ ბლექ სი არენაზე მსოფლიოს ვარსკვლავმა, ბრიტანელმა მევიოლინე ვანესა მეიმ გრანდიოზული შოუ წარმოადგინა.

ელექტრონული კლასიკის დედოფლად წოდებული ვანესა მეი კლასიკური მუსიკის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც „ბრიტ ევორდსის" ნომინაცია მიიღო.

მევიოლინე საქართველოში კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოფრინდა და შეკვეთილში შეკრებილი მსმენელისთვის სპეციალური საკონცერტო პროგრამა ჩამოიტანა.

ქართველი და უცხოელი მსმენელისთვის კონცერტი 2 საათს გაგრძელდა. პროგრამით დაგეგმილ საკონცერტო პროგრამას ვანესა მეიმ ნახევარი საათით გადააჭარბა. გადაწყვეტილება მევიოლინემ მას შემდეგ შეცვალა, რაც გრანდიოზული შოუთი აღფრთოვანებულმა მსმენელმა ხელოვანს სცენაზე დაბრუნება სთხოვა.

რამდენიმე კომპოზიციის შესრულების შემდეგ ვანესა მეიმ სცენარიც დაარღვია და შეკრებილ მაყურებელთან ჩავიდა. მევიოლინე ბათუმში 8 აგვისტომდე დარჩება. იგი ბათუმში სასტუმრო „ჰილტონშია" გაჩერებული. მევიოლინეს ქალაქისა და ქართული კულტურის გაცნობა სურს.

# ირაკლი ჩოლოყაშვილს დეპუტატობა სურს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს, ანსამბლ „ლაშარის" წევრსა და დირიჟორს ირაკლი ჩოლოყაშვილს დეპუტატობა სურს. კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის, მსახიობ ზურა შარიასა და მომღერალ ზურა ხაჩიძის შემდეგ ოქტომბრის არჩევნებში ამომრჩეველს კიდევ ერთი ხელოვანისთვის მოუწევს ხმის მიცემა.

ინფორმაცია ირაკლი ჩოლოყაშვილის პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშირებით ანსამბლ „ლაშარის" ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– 1991 წლიდან გიცნობ. დღემდე ერთად ვმღერით. ერთი, რაზეც შემიძლია, დარწმუნებული ვიყო, ხარ ძალიან პრინციპული და ზუსტად ვიცი, არანაირ თანხად არ გაყიდი იმ ღირებულებებს, რომლის ერთგულიც დღემდე ხარ.

მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგახარ და იცოდე, პირველი, ვინც მკაცრად გაგაკრიტიკებს, ვიქნები მე. წარმატებებს გისურვებ და სიმღერა არ დაივიწყო.

პ.ს. ვინც არ იცის, ირაკლის ნაციონალური მოძრაობა წარადგენს მაჟორიტარ დეპუტატად ჩუღურეთში.

# „ნუ დარდობ, სხვა ქვეყნებში გალიარებენ თუ არა!"

– შენს ქვეყანაში თუ ხარ წარმატებული, ნუ დარდობ, სხვა ქვეყნებში გალიარებენ თუ არა! რევაზ ლაღიძე შეიძლება ამერიკამ არ აღიარა, მაგრამ ქართველებისთვის ის გენიოსია! – ასე მიმართავს ახალგაზრდებს არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი და შემსრულებელი მიხეილ ზაქარიაშვილი:



– ახალგაზრდებს მივმართავ! შენს ქვეყანაში თუ ხარ წარმატებული, ნუ დარდობ, სხვა ქვეყნებში გალიარებენ თუ არა! რევაზ ლაღიძე შეიძლება ამერიკამ არ აღიარა, მაგრამ ქართველებისთვის ის გენიოსია!

მთავარია, შენი ხალხისთვის ქმნიდე რამე ღირებულს. მოვა დრო და სხვაც გაღიარებს! ნუ ჩქარობთ და ნუ ცდილობთ, საზღვრებს გარეთ მოიწონოთ თავი მათივე ფოლკლორზე დაყრდნობილი მუსიკით. საკუთარი ფოლკლორი გამოიყენეთ, ის ხშირ შემთხვევაში ბევრად აღმატებული და ღირებულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის ფოლკლორი!

ამას ხომ მსოფლიოც თავად აღიარებს! ჩვენი ხალხური ცეკვა, სიმღერა გაიხსენეთ და სწორ გზაზე დადგებით!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

ოთხშაბათი
8 აგვისტო

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00** ოლიმპიადა – "რიო **2016**" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე** **14.00** "ფერმა" **14.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – აგვისტო **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00** ოლიმპიადა – "რიო **2016**

**08.00** დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** დ/ფ "ეფლი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**აეროპორტი 77**" (ჯ.ლემონი) **16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **16.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **17.20, 21.35** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური - "ათენიდან ათენამდე" **22.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**თავისუფლების ყიჟინა**"

**06.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00, 14.40** სერ. "**ფიცი**" **08.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.20** ქ.მხ/ფ "**ბაში - აჩუკი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ**" **23.00** სერ. "**სპარტაკი**" 8 სერ. **00.00** მხ/ფ "**სისხლის და თაფლის მხარეში**" **02.30** მხ/ფ "**მეომრის გზა**" **04.05** მხ/ფ "**საბედისწერო ნიშნები**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30** დ/ფ შ.მალაშხია **08.30, 09.10, 01.00, 03.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** სერ. "**გაბრიელა**" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** დ/ფ "აგვისტოს ომი **1-2**" თ.ჩაგელიშვილი **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/სერ. - "**ავატარი**" **09.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 00.25** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 02.15** სერ. "**ძლები**" **15.00** მხ/ფ "**იქს – ადამიანები**" **17.00** აირჩიე კაბა რენდისთან ერთად **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**ფანტასტიკური ოთხეული**" **23.25** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

**06.15** ღვთის სახლი "კომანი" **06.25** პატერიკი-ღვთის განგებულება ადამიანის ცხოვრებაზე **06.30** დ/ფ "აგვისტო **2008**" **06.55** ქართული ალბომი **07.45** ჩვენი საგანძური "ღილღოს მგოსანი გაბრიელ ჯაბუშანური" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" კოლაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**მამლუქი**" **13.30** დ/ფ "ცარიელია სახლი" **14.20** საყმაწვილო ენციკლოპედია **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** სპექტაკლი "**საქართველოს უკანასკნელი დედოფალი**" **17.25** დ/ფ "კაპელანი" **18.05** დ/ფ "ფშავ-ხევსურეთი" IV ნაწ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ფესვები**" **20.40** ძილი ნებისა "კომბლე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი-მადლიერება **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა "ლენტეხის საკათედრო ტაძარი" **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-ამოსი I ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ლაშხები" **23.30** დიდ ხარ შენ უფალო **00.25** ტალანტები და თაყვანისმცემლები **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" I სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ჯადოქარი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3477

ევრო — 2.6175

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0875

100 რუსული რუბლი — 3.5903

## ამინდის პროგნოზი 8 აგვისტოსთვის





2 აგვისტოდან

ჯოვანი ბოკაჩო

**დეკამერონი**

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი







5 აგვისტოდან

ჯოვანი ბოკაჩო

**დეკამერონი**

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


# ქართველ კალათბურთელთა ორი განსხვავებული ტაიმი

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთში საერთაშორისო სამთა ტურნირში მიიღო მონაწილეობა და 2 მატჩი გამართა.

ილიას ზუროსის გუნდმა ჯერ დამაჯერებლად ითამაშა ბელარუსის წინააღმდეგ და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა – 86:74.

შესაშური მიზი გამოავლინა და 6-დან 6 სამქულიანი ჩააგდო. გარდა ამისა, მან 5 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. დიქსონთან ერთად 10-ქულიანი ზღვარი დაძლიეს თორნიკე შენგელიამ (17 ქულა) და ვიქტორ სანიკიძემ (13).

საქართველოს ნაკრები ტურნირის მეორე და უკანასკნელ მატჩი მასპინძელ რუსეთთან გამართა, რომელთაც ბელარუსები 53 ქულით ჰყავდათ დამარცხებული და, შესაბამისად, ქართველებთან დაპირისპირება ტურნირის ფინალის ტოლფასი იყო.



სხვაობა 12-ქულიანია, თუმცა ამხანაგურ მატჩში სხვაობას პირობითი მნიშვნელობა აქვს. ბერძენმა მწვრთნელმა ნაკრების წევრებს სხვადასხვა სახის ტაქტიკა გამოაცდევინა – კომბინაციები, დაცვითი სისტემები, პრესინგი და მრავალი სხვა, რაც ჩვენს ნაკრებს მომავალ საკვალიფიკაციო მატჩებში უნდა გამოადგეთ.

რაც შეეხება ბელარუსთან მატჩის პერიპეტიებს, იყო შეცდომები, განსაკუთრებით შეტევაში. ქართველებმა მეტოქის ნახევარზე ბარე 10 ჯარიმა მიიღეს და შესაბამისად ამდენი შეტევა გაუფუჭდათ. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებს არ გასჭირვებია და მე-3 მეოთხედის ბოლოს 21 ქულას იგებდა.

შესანიშნავად ითამაშა ყველამ, ვინც მოედანზე გამოვიდა. გამარჯვებაში ყველამ თავისი წილი დაიდო. ბომბარდირი ამერიკელი მაიკლ დიქსონი გახდა 24 ქულით, რომელმაც

ზუროსის გუნდმა თითქმის სავსე „ხიმკის“ დარბაზში ოპტიმალური შემადგენლობით მყოფ რუსეთს პირველი პერიოდი 25:17 მოუგო, შემდეგ კი ჩვენი ნაკრები რას ჰგავდა, ვერ გეტყვით. დიდი შესვენებისთვის უკვე 2 ქულას ვაგებდით. ქართველებმა მესამე პერიოდი საერთოდ ჩააგდეს (30:12), რასაც ძირითადი გამთამაშებლის, გიორგი ცინცაძის ტრავმა დაერთო და საბოლოოდ მასპინძლებმა დიდი სხვაობით – 94:62 წააგეს.

მოსამზადებელ მატჩებში დამარცხება არაფერს ნიშნავს. ოფიციალურ მატჩებამდე გამართული ნებისმიერი მატჩი მხოლოდ მოსამზადებელია და სწორედ ასეთ შეხვედრებში


გაგრძელება მე-9 გვერდზე




## იუმორი

ქმარმა ცოლს სამზარეულოში მაცივარში მოფუსფუსეს შეუსწრო და ეუბნება:

– ხომ დამპირდი, რომ საღამოს ექვსი საათის შემდეგ საჭმელს პირს არ დააკარებდი და მაცივარში რას საქმიანობ?

– ნივთებს ადგილებს ვუცვლი!

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, მე საიდან გავჩნდი?

– შენ კომბოსტოში გიპოვეთ, შვილო.

– ჩემი და?

– ის პამიდორში.

– რა, მებაღეობის გარდა, სხვა საქმე არ იცოდით?

•••

საცეკვაო მოედანზე ყმაწვილი გოგონას მიმართავს:

– შეიძლება, საცეკვაოდ მიგიწვიოთ?

– სამი შვილის დედა ვარ...

– აჰა, გასაგებია, დაისვენეთ, დაისვენეთ...

•••

გამოცდაა ფიზიკაში. პროფესორი მაგარ „პახმელიაზე“ და საშინელ ხასიათზეა და სტუდენტებს არ ახარებს. პირველი სტუდენტი შედის გამოცდაზე. პროფესორი ეკითხება:

– თქვენ ავტობუსით მგზავრობთ, დაგცხათ, რას გააკეთებთ?

– ფანჯარას გავაღებ.

– სწორია, ახლა კი გამომითვალეთ, რა ცვლილებები მოხდება ავტობუსის აეროდინამიკურ მაჩვენებლებში, რომელიც ფანჯრის გაღებამ გამოიწვია.

– მმმ...

– თავისუფალი ხარ, ვერ ჩააბარე.

იგივე მეორდება სხვა სტუდენტებთანაც. ბოლოს სტუდენტი გოგონა შედის. პროფესორი მასაც იმავე შეკითხვას უსვამს. გოგონა პასუხობს:

– კოფთას გავიხდი.

– არა, თქვენ ვერ გამიგეთ, ძალიან ცხელა.

– მაშინ ბლუზასაც გავიხდი.

– საშინელი სიცხეა, ეგ ვერ გიშველით.

– კაბასაც გავიხდი.

– ავტობუსში არ გეშინიათ?

– მთელმა ავტობუსმაც რომ გადამიაროს, ფანჯარას მაინც არ გავაღებ!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

9 აგვისტოდან

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი







12 აგვისტოდან

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## ფანებმა ფუმფულა ტანის მოდელს სიგამხდრე დაუწუნეს



ფუმფულა სხეულის მქონე მოდელმა ეშლი გრემმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის წონაში მნიშვნელოვნად დაკლებულად გამოიყურება. ამ ფოტომ მოდელის ფანები გააოგნა. გოგონას გვერდის ხელმომწერებმა ფოტოს ნეგატიური შინაარსის კომენტარები გაუკეთეს. გარდა ამისა, მათ კრიტიკული გამოთქმები არც იმ ფოტოსურათისთვის დაიშურეს, რომელიც მოდელის სპორტულ დარბაზში ვარჯიშს ასახავს.

მოდელს ბრალად დასდეს, რომ მან ვერ გაუძლო მოდის ინდუსტრიის ზეწოლას და სიგამხდრის პროპაგანდითაა დაკავებული. გრემს ასევე საყვედურობენ, რომ ის ცდილობს, ჰოლივუდურ სტანდარტებს შეესაბამებოდეს და ამკვიდრებს იდეას, რომ სიგამხდრე სილამაზეს ნიშნავს. ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა მის ქმედებას „ზურგში დანის დარტყმაც“ კი უწოდა, თუმცა, ისეთებიც მრავლად აღმოჩნდნენ, რომლებმაც გრემის მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატეს და კომენტარებში დაწერეს, რომ მას ნებისმიერ შემთხვევაში ულამაზესად მიიჩნევენ.

თავად მოდელმა კი კრიტიკის პასუხად დაწერა, რომ საკუთარ წონას მხოლოდ პირად საქმედ მიიჩნევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 5. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 6. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 7. კვირის ...; 8. ძლიერი განცდის გამოვლინება; 10. ჩრდილოეთის ქარი; 13. თუთიყუში; 15. ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში; 16. პარაგვაის ჩაი; 17. სინემა; 20. ფრჩხილის ბუდის ანთება; 21. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 22. ბამბის გამჭვირვალე ქსოვილი; 23. რომაელების სამოსი ძველად.

**შვეულად:** 1. იატაკის საცხი; 2. წყლის საათი; 3. ვრცელი მიდამოს ხედი; 4. დაქირავებული პირი, რომელიც დამქირავებლის ნებას ასრულებს; 5. ჰომეროსის პოემა; 9. ერთი და იმავე გამოცემის საერთო რაოდენობა; 11. ერთი სახელმწიფო თავს ახვევს უსამართლო შეთანხმებას მეორე სახელმწიფოს; 12. ალღუმი; 14. წებო, რომელიც არ კრისტალდება; 18. ბერძნული ანბანის ასო; 19. ნახევრადძვირფასი ქვა.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**

